შიდაქი

SHIRAKI

www. open.ge

გამოდის 1937 წლიდან

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გაზეთი

№35 (9.700)

26 სექტემბერი-3 ოქტომბერი 2015 წელი

ფასი: 50 თეთრი

ყოველკვირეული გამოცემა

„პრეტენზია მაქვს, დედოფლისწყარო ერთ-ერთი საუკეთესო იყოს“...

დედოფლისწყაროში ინფრასტრუქტურული სამუშაოები გრძელდება. საავადმყოფოს ახალი, თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი შენობის გარდა მუნიციპალიტეტში სხვადასხვა სახის ინფრასტრუქტურული პროექტები ხორციელდება. მიმდინარე ინფრასტრუქტურული სამუშაოების შესახებ დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგებელი ნიკოლოზ ჯანიაშვილი გვესაუბრება:

-მოგეხსენებათ, ჩვენი ხელისუფლების პრიორიტეტი მომავალი თაობისთვის კომფორტული პირობების შექმნა და მათი სწორი აღზრდა გახლავთ. დედოფლისწყაროს სკოლამდელი დაწესებულებებისთვის 1 მლნ. ლარია გამოყოფილი. თუმცა, ბავშვებისთვის კომფორტული პირობების შესაქმნელად მხოლოდ ეს თანხა საკმარისი არაა. მუდმივ, უწყვეტ რეჟიმში მიმდინარეობს საბავშვო ბაღების სარეაბილიტაციო სამუშაოები. წელს მოხდა არბოშიკის საბავშვო ბაღის შენობის სრული რეაბილიტაცია, თანამედროვე გათბობის სისტემა დამონტაჟდა და ასევე შეიცვალა ინვენტარის ნაწილიც. ოქტომბრის პირველ რიცხვებში აქ მისულ ალსაზრდელებს ბაღის განახლებულ შენობასთან ერთად ახალი სათამაშოებიც დახვდებათ. ამ სამუშაოების განხორციელებაში 85000 ლარი დაიხარჯა. სარეაბილიტაციო სამუშაოები ჩატარდა სამთაწყაროს ბაგა-ბაღშიც, რომელსაც მთლიანად შეეცვალა სახურავი.

-ამ ზაფხულსაც დედოფლისწყაროელთათვის სერიოზულ პრობლემას წარმოადგენდა უწყლობა. რა ღონისძიებებია დაგეგმილი იმისთვის, რომ წყლის დებეტი გაიზარდოს და მოსახლეობა ზაფხულობით მძიმე გრაფიკს დაემშვიდობოს?

-ეს ჩვენი ხელისუფლების პრობლემაცაა. ყველაფერს ვაკეთებთ იმისთვის, რომ დედოფლისწყაროს ყველა ქუჩაზე, ყველა სოფელში წყალი მოსახლეობას უწყვეტად ჰქონდეს. მართალია, ეს რთულია, მაგრამ იმედი გვაქვს, ჩვენს მიერ დაგეგმილი პროექტების წყალობით ეს მალე რეალობად იქცევა. ქვემო ქედში მოხდა სატუმბი სადგურის მოწყობა და წყლის ცენტრალური მაგისტრალის რეაბილიტაცია. პროექტის ღირებულებამ 293000 ლარი შეადგინა. ეს პროექტი მნიშვნელოვანია იმითაც, რომ გამანაწილებელ ავზში მინიმალური დანაკარგებით მივა წყალი და მოსახლეობის წყალმომარაგება მნიშვნელოვნად გაუმჯობესდება.

წყალმომარაგების გაუმჯობესების მიზნით ზემო ქედში წლის ბოლომდე დასრულდება გამორჩენილ უბნებში წყალმომარაგების ქსელის რეაბილიტაცია.

გაზეთის გამოსვლისთვის უკვე დასრულებული იქნება ტენდერი და გამოვლენილი ის ორგანიზაცია, რომელმაც არბოშიკში წყალგაყვანილობის სისტემის რეაბილიტაცია უნდა განახორციელოს. ამ პროექტის მიხედვით, გათვალისწინებულია სამი ჭაბურღილის მოწყობა, არსებული წყლის რეზერვუარის რეაბილიტაცია და სოფლის მოსახლეობის ნაწილის წყლით მომარაგების სისტემით დაქსელვა. პროექტის ღირებულება 694000 ლარით განისაზღვრა.

სოფელ გამარჯვებაში მიმდინარეობს სატუმბი სადგურისა და სადაწნევო ქსელის მოწყობა, რომელიც საგრძნობლად გაზრდის წყლის დებეტს და გააუმჯობესებს მოსახლეობის წყლით მომარაგებას.

ამ პროექტების გარდა, დედოფლისწყაროში წყალმომარაგების გაუმჯობესების მიზნით, შემდეგი წლისთვის კვლავ გაგრძელდება სამუშაოების წარმოება.

-კარგი გზა ერთ-ერთი აუცილებელი კომპონენტია ტურიზმის განვითარებისთვის, მოსახლეობის მიგრაციის შესაჩერებლად... მართალია, დედოფლისწყაროში გზების დიდ ნაწილს ჩაუტარდა სარეაბილიტაციო სამუშაოები, მაგრამ დარჩა გარკვეული უბნები, რომლებიც მოასფალტების მოლოდინშია, იდენტური მდგომარეობაა სოფლებშიც. რა სახის ინფრასტრუქტურული სამუშაოები მიმდინარეობს და რა იგეგმება ახლო მომავალში?

-ქალაქ დედოფლისწყაროში დასრულდა ნიკო ფიროსმანის ქუჩის დარჩენილი ნაწილის, დავით აღმაშენებლისა და 9 აპრილის ქუჩების დამაკავშირებელი მონაკვეთის მოასფალტება, აგრეთვე, 9 აპრილის ქუჩის დარჩენილი ნაწილის მოასფალტება მოხდა, რითიც სამ ათეულ ოჯახზე მეტი დარჩა კმაყოფილი. ასფალტის საფარი მოეწყო დედოფლისწყარო-სამრეკლოს გამყოფი გზის მონაკვეთზე, სადაც სატვირთო ავტომანქანებმა უნდა იარონ. ამ პროექტის განხორციელება იმითაცაა მნიშვნელოვანი, რომ სატვირთო ავტომანქანები ქალაქში აღარ ივლიან და მოსახლეობა და ჩვენი გზაც მეტად დაცული იქნება იმ უარყოფითი ზეგავლენისგან, რომლის მიყენებაც სატვირთო მანქანებს შეეძლოთ.

სოფელ ხორნაბუჯში ფორე მოსულიშვილის ქუჩაზე გარდამავალი პროექტი განხორციელდა, მოეწყო კიუვეტები, მეგობრობის ქუჩის პირველ შესახვევში კი დასრულდა ასფალტის საფარის დაგება და ბოგირის მოწყობა.

სოფელ სამრეკლოში დასრულდა მთავარი სანიაღვრე ძარღვის, ხოლო მეათე-მეთერთმეტე ქუჩაზე სანიაღვრე სისტემის მოწყობა.

ქალაქ დედოფლისწყაროს ცენტრში რეაბილიტაცია ჩაუტარდა შენობას, სადაც ახალი ინვენტარის შეტანის შემდეგ ბიბლიოთეკა განთავსდება. პრეტენზია მაქვს, დედოფლისწყარო საქართველოში ერთ-ერთი საუკეთესო რაიონი იყოს, როგორც ინფრასტრუქტურის მოწყობის თვალსაზრისით, ასევე ინტელექტუალური, კულტურული თვალსაზრისითაც, თუმცა, ამ ყველაფრის განხორციელებას მონდომებასთან ერთად დროც სჭირდება...

გარდა ამისა, ნახევარი მილიონი ლარის ღირებულების პროექტებია დაგეგმილი ქალაქის ცენტრის კეთილმოწყობისთვის. ჩვენს დღევანდელ ინტერვიუში სპეციალურად არ ვეხები სოფლის დახმარების პროგრამის ფარგლებში განხორციელებულ სამუშაოებს. მათ შესახებ გაზეთის მომდევნო ნომრებში ვისაუბროთ.

ინგა შიოლაშვილი

ფიროსმანის დაბრუნება

გვ.3

შეხვედრა სამშობლოსთან რვა წლის შემდეგ...

გვ.4

და ნურც გვეცოცხლოს უსაქართველოდ...

გვ.5

გვ.3

დიდ სამამულო ომში დაღუპული ქართველი ჯარისკაცის ნეშტი,73 წლის შემდეგ, მშობლიურ სოფელში დაკრძალეს

საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერი „საპარტნიორო ფონდს“ უხელმძღვანელებს

„საპარტნიორო ფონდს“ ახალი ხელმძღვანელი ჰყავს - ამ პოსტზე საქართველოს პრემიერმა საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერი დავით საგანელიძე დანიშნა.

შეგახსენებთ, რომ სს „საპარტნიორო ფონდი” არის სახელმწიფო საინვესტიციო ფონდი, რომელიც დაარსდა 2011 წელს. „საპარტნიორო ფონდის” საქმიანობა ხორციელდება ორი ძირითადი მიმართულებით:

პირველია აქტივების მართვა. ფონდის აქტივების პორტფელი შედგება შემდეგი სტრატეგიული მნიშვნელობის კომპანიებისგან: „საქართველოს რკინიგზა“ - 100% წილი; „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაცია“ - 100% წილი; „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“ - 100% წილი; „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორი“ - 100% წილი; სს „თელასი“ - 24.5% წილი. „საქართველოს რკინიგზა“ და „ნავთობისა და გაზის კორპორაცია“ „საპარტნიორო ფონდის” საინვესტიციო საქმიანობის დაფინანსების მთავარ წყაროს წარმოადგენენ.

რაც შეეხება საინვესტიციო საქმიანობას, „საპარტნიორო ფონდის“ ყოფილი ხელმძღვანელის ირაკლი კოვზანაძის განცხადებით, ფონდმა ბოლო ორი წლის განმავლობაში განახორციელა 2 მილიარდი დოლარის მოცულობის პროექტები. მათ შორის არის “გარდაბნის” თბოელექტროსადგური, “ნესკრას” ჰიდროელექტროსადგური, თვითმფრინავების ქარხანა თბილისში, 5 ბრენდული სასტუმრო საქართველოში და სხვადასხვა პროექტები. ასევე, ცოტა ხნის წინ უმსხვილესმა საფინანსო ინსტიტუტმა “კრედიტ სვისმა” „საპარტნიორო ფონდს“ 150 მლნ დოლარის სესხი დაუმტკიცა და ეს თანხა ახალი პროექტების განხორციელებას მოხმარდება.

ფონდი უფლებამოსილია განახორციელოს ინვესტიცია მხოლოდ საქართველოში და მისი სტრატეგია მიმართულია კერძო ინვესტორების მოზიდვასა და მხარდაჭერაზე. როგორც ფონდში აცხადებენ, დაფინანსებისთვის განიხილება მხოლოდ კომერციულად მიზანშეწონილი პროექტები, რომლებსაც გამოცდილი პარტნიორები ან დაქირავებული სპეციალიზებული ოპერატორები მართავენ.

ფონდი ფინანსურ პარტნიორობას უწევს კერძო ინვესტორებს, რაც საშუალო და გრძელვადიანი თანადაფინანსებით გამოისახება. იგი პასიური პარტნიორის როლში იღებს მონაწილეობას როგორც ახალი ბიზნესინიციატივების, ისე არსებული ბიზნესის ინვესტირებაში. დაფინანსება ფონდის მხრიდან ხდება კაპიტალში მონაწილეობით და, ზოგიერთ შემთხვევაში, სუბორდინირებული (კონვერტირებადი და არაკონვერტირებადი) სესხების მეშვეობით.

ფონდის თანამონაწილეობა პროექტებში არ უნდა აღემატებოდეს კაპიტალის 50%-ს. დაფინანსებასთან ერთად, ფონდი პარტნიორს და მმართველ გუნდს ეხმარება გრძელვადიანი მდგრადობის მიღწევაში.

კიდევ ერთი ფინანსური მონაცემი: 2014 წლის ფინანსური ანგარიშის მიხედვით, „საპარტნიორო ფონდის“ და მისი შვილობილი კომპანიების კონსოლიდირებულმა ფინანსურმა შემოსავლებმა ერთ მილიარდ ლარს გადააჭარბა. „საპარტნიორო ფონდის“ წმინდა მოგება გაიზარდა 69 %-ით, 2013 წელთან შედარებით, და 124.7 მლნ ლარი შეადგინა. 17 %-ით გაზრდილია საოპერაციო მოგებაც და იგი 243 მლნ ლარს შეადგენს.

დღეიდან ამ ფონდს - როგორც მისი აქტივების მართვას, ასევე მის მიერ საინვესტიციო გადაწყვეტილებების მიღებას - საპარლამენტო უმრავლესობის ყოფილი ლიდერი და „ქართული ოცნების“ ერთ-ერთი პოლიტიკური სახე, დავით საგანელიძე, განახორციელებს.

საქართველოს მორაგბეთა ნაკრები დამარცხდა არგენტინასთან

საქართველოს მორაგბეთა ეროვნული ნაკრები დიდი ანგარიშით 54-9 დამარცხდა არგენტინის ნაკრებთან. არგენტინელებმა შვიდი ლელო დადეს, ქართველებმა - ვერცერთი. მატჩი გლოსტერში დღეს გაიმართა. დღევანდელი მარცხის შემდეგ ჩ ჯგუფში სატურნირო მდგომარეობა ასე გამოიყურება 9 ქულით პირველ ადგილზეა ახალი ზელანდია, შემდეგ მოდის არგენტინა - 5 ქულით, საქართველოს - 4 ქულა აქვს და მესამე ადგილზე იმყოფება. ხუთეულში შემდეგ მოდის 1 ქულით ტონგა, ზამბიის ნაკრები კი ბოლო ადგილზეა. მომდევნო თამაშს საქართველოს ნაკრები 2 ოქტომბერს ახალი ზელანდიის ნაკრებთან გამართავს.

ავღანეთში დაღუპული 31-ე ქართველი ჯარისკაცი

ავღანეთში “მტკიცე მხარდაჭერის” მისიის შესრულების დროს დაიღუპა ქართველი სამხედრო მოსამსახურე, პირველი კლასის რიგითი ვასილ ყულჯანიშვილი. ის საქართველოს შეიარაღებული ძალების IV მექანიზებული ბრიგადის 43-ე ბატალიონში მსახურობდა. პატრულირების დროს დაიჭრა ამავებატალიონის სერჟანტი პაატა როსტობაიაც. მის სიცოცხლეს ამჟამად საფრთხე არ ემუქრება და ის მკურნალობას გერმანიაში გააგრძელებს. საქართველოს თავდაცვის სამინისტრო მწუხარებას გამოთქვამს მომხდარის გამო და ვასილ ყულჯანიშვილის ოჯახს უსამძიმრებს. დაღუპული ჯარისკაცის ოჯახს სახელმწიფო 100 000-ლარიან კომპენსაციას გადასცემს.

საქართველოში 22 სექტემბრის ღამით ავღანეთში დაღუპულ მორიგ ქართველ ჯარისკაცს გლოვობენ. 21 წლის ვასილ ყულჯანიშვილი ავღანეთში “მტკიცე მხარდაჭერის” მისიით ყოფნისასიმ დროს დაიჭრა, როდესაც ქართველ სამხედროებს თავს დაესხნენ. ტყვია ჯერ სერჟანტ როსტობაიას მოხვდა. მისი ევაკუაციის დროს რიგითი ვასილ ყულჯანიშვილი, როგორც გენერალური შტაბის უფროსმა ვასილ კაპანაძემ განაცხადა, დაზღვევაზე იმყოფებოდა. მან დაკისრებული ამოცანა შეასრულა და ქვედანაყოფი დაიცვა, თუმცა დაჭრილი თანამებრძოლის ევაკუირებისას ყულჯანიშვილი სასიკვდილოდ დაჭრეს. მისი გადარჩენა ვეღარ მოხერხდა.

გლოვის ნიშნად სახელმწიფო დროშები დაეშვა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ადმინისტრაციულ შენობებზე. უწყების ხელმძღვანელის თინა ხიდაშელის განმარტებით, სამხედრო ბაზას თავს არ დასხმიან, ჯარისკაცები პატრულირებისას მომხდარი შეტაკების დროს დაიჭრნენ.

„ვუსამძიმრებ დაღუპული ჯარისკაცის ოჯახს. წუხელ მთელი ღამე იქ ვიყავით.გულწრფელად ვამბობ,იშვიათად მინახავს ახალგაზრდა ქალი, დედა, რომელიც შვილის დაღუპვის ამბავს ასე გმირულად შეხვდა“, - განაცხადა ხიდაშელმა. თავდაცვის მინისტრის ინფორმაციით, მეორე ქართველ ჯარისკაცს, რომელიც დაჭრილია, ოპერაციის შემდგომ სამშობლოში დააბრუნებენ.

კაპიტან მანუჩარ შამუგიას განცხადებით, სერჟანტ პაატა როსტობაიას ბაგრამის საავიაციო ბაზაზე, აშშ-ის არმიის მთავარ სამხედრო ჰოსპიტალში უკვე ჩაუტარდა პირველი ქირურგიული ოპერაცია და მის სიცოცხლეს საფრთხე აღარ ემუქრება. როგორც თინა ხიდაშელმაც აღნიშნა, ის მკურნალობას გერმანიაში განაგრძობს.

23 სექტემბერს გამართულ მთავრობის სხდომაზე პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა ასევე მიუსამძიმრა ავღანეთში დაღუპული ქართველი ჯარისკაცისოჯახს და თავდაცვისა და ფინანსთა სამინისტროს დაავალა მის დაკრძალვასთან დაკავშირებული საკითხების მოგვარება. დაღუპულის ოჯახს სახელმწიფო 100 000 ლარის ოდენობის კომპენსაციასაც გადასცემს:

„ეს საშინელი ტრაგედია და დიდი დანაკარგია ჩვენთვის. მინდა ვთხოვო თავდაცვისა და ფინანსთა სამინისტროებს, რომ გამოყონ დაკრძალვისათვის საჭირო თანხები. ასევე, როგორც ეს კანონითაა განსაზღვრული, ვასილ ყულჯანიშვილის ოჯახს გადაეცეს კომპენსაცია 100 ათასი ლარი“.

ავღანეთში ქართველი ჯარისკაცის დაღუპვის ფაქტს სამძიმრის წერილით გამოეხმაურა საქართველოს პრეზიდენტი გიორგი მარგველაშვილიც.

“ღრმა მწუხარებით მივიღე ცნობა ავღანეთში ქართველი მებრძოლის, IV მექანიზებული ბრიგადის 43-ე ბატალიონის პირველი კლასის რიგითი ვასილ ყულჯანიშვილის გარდაცვალების შესახებ. ეს უმძიმესი დანაკარგია ჩვენი ქვეყნისთვის, რომლისთვისაც ფასდაუდებელია სამშობლოსათვის თავდადებული თითოეული მამულიშვილის სიცოცხლე. ამ მძიმე წუთებში ვუსამძიმრებ და თანადგომას ვუცხადებ გარდაცვლილის ოჯახსა და ახლობლებს, თანამებრძოლებს, შეიარაღებულ ძალებს და მთელ ქვეყანას”, - წერს საქართველოს პრეზიდენტი სამძიმრის წერილში.

“ეს არის დიდი დანაკლისი დაღუპულის ოჯახისათვის, საქართველოს შეიარაღებული ძალებისა და სრულიად საქართველოსთვის. საგარეო საქმეთა სამინისტრო ქედს იხრის გმირულად დაღუპული ქართველი ჯარისკაცის წინაშე”, - ნათქვამია საგარეო საქმეთა სამინისტროს სამძიმრის წერილშიც.

თავდაცვის სამინისტროს ცნობით, საქართველოს შეიარაღებული ძალები სამშვიდობო მისიებში აქტიურ მონაწილეობას 1999 წლიდან იღებს. ავღანეთში კი საერთაშორისო მისიაში მონაწილეობის მისაღებად ქართული კონტინგენტი პირველად 2004 წელს გაიგზავნა. ამ დროისთვის ავღანეთის საერთაშორისო სამშვიდობო მისიაში 900-მდე ქართველი სამხედრო მოსამსახურე მონაწილეობს.

ავღანეთში დაღუპული ქართველი ჯარისკაცი, ვასილ ყულჯანიშვილი ავღანეთიდან საქართველოში ჩამოასვენეს.

აეროპორტში განთავსებულია საპატიო ყარაული, ასევე საქართველოს შეირაღებული ძალების ეროვნული გვარდიის სამხედრო-საჩვენებელი ორკესტრი.

ვასილ ყულჯანიშვილს აეროპორტიდან რუსთავში, საკუთარ სახლში გადაასვენებენ.

ცხედარი საქართველოში სპეციალური რეისით ჩამოასვენეს.

ვასილ ყულჯანიშვილს რუსთავში 29 სექტემბერს დაკრძალავენ.

ის ავღანეთში დაღუპული 31-ე ქართველი სამხედროა.

პედაგოგებისა და მასწავლებლობის მსურველთა საგნის გამოცდისთვის რეგისტრაცია 30 სექტემბერს დაიწყება

პედაგოგებისა და მასწავლებლობის მსურველთა რეგისტრაცია საგნის გამოცდისთვის 30 სექტემბერს 10:00 საათზე დაიწყება და 13 ოქტომბრის 18:00 საათამდე გაგრძელდება. გამოცდას კი აპლიკანტები იანვარში ჩააბარებენ. ყველა აპლიკანტს უფლება აქვს დარეგისტრირდეს ელექტრონულად (მხოლოდ ერთი საგნის გამოცდის ჩასაბარებლად) ვებგვერდებზე: www.naec.ge და online.naec.ge.

პრაქტიკოსი მასწავლებლებისათვის რეგისტრაცია უფასო. მასწავლებლობის მსურველი აპლიკანტები კი 50 ლარს გადაიხდიან.

მასწავლებლობის მსურველებმა პარალელურად რეგისტრაცია უნდა გაიარონ საგანმანათლებლო რესურსცენტრებში.

აპლიკანტმა რესურსცენტრში უნდა წარადგინოს შემდეგი დოკუმენტები:

პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი; განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის კანონმდებლობით დადგენილი წესით დამოწმებული ასლი.

გამოცდაზე გასვლის უფლება აქვს: პრაქტიკოს მასწავლებელს; ბაკალავრის, მაგისტრის და/ან მათთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირს, რომელსაც მიღებული აქვს ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისი საგნის/საგნობრივი ჯგუფის აკადემიური ხარისხი; მასწავლებლობის მსურველს, რომელსაც დიპლომის საფუძველზე აქვს მასწავლებლობის უფლება.

გამოცდების ეროვნული ცენტრის ცნობით, 2016 წლიდან მსურველებს საგნის გამოცდის ჩაბარების შესაძლებლობა წელიწადში ორჯერ — ზამთარსა და ზაფხულში ექნებათ.

ისინი გამოცდას ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ შემდეგ საგნებში ჩააბარებენ:

ქართული ენა და ლიტერატურა (I-VI კლასები); მათემატიკა (I-VI კლასები); ბუნებისმეტყველება (I-VI კლასები); ქართული ენა და ლიტერატურა, მათემატიკა და ბუნებისმეტყველება (I-IV კლასები); ქართული ენა და ლიტერატურა (VII-XII კლასები); ქართული, როგორც მეორე ენა (I-XII კლასები); მათემატიკა (VII-XII კლასები); ისტორია; გეოგრაფია; სამოქალაქო განათლება; ფიზიკა; ქიმია; ბიოლოგია; ინგლისური; გერმანული; ფრანგული; რუსული; სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება; ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები.

მუსიკისა და სპორტის მასწავლებლები გამოცდებისათვის რეგისტრაციას გაზაფხულზე შეძლებენ. მათ საშუალება ექნებათ საგნის გამოცდა ივლისის თვეში ჩააბარონ.

3 ოქტომბერს სიღნაღში შემოდგომის ფესტივალი გაიმართება

3 ოქტომბერს სიღნაღში შემოდგომის ფესტივალი გაიმართება. ფესტივალზე წარმოდგენილი იქნება საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან გლეხური და ევროპული ღვინოები. ასევე, სტუმრებს შესაძლებლობა ექნებათ დააგემოვნონ სხვადასხვა კუთხის სამზარეულო. გაიმართება კონცერტი და სიღნაღის საპატიო მოქალაქეების დაჯილდოება.

ფესტივალი 13:00 საათზე ბარათაშვილის ქუჩიდან დაიწყება. განლაგდება ცხრა კასრი, სადაც ე.წ. „გლეხური წესით“ დამზადებული ღვინო და კუთხური სამზარეულო იქნება წარმოდგენილი. გამოცხვება „დედას პური“ და კახური ნაზუქი, შეინვება მწვადი, მოდუღდება თათარა.

ბარათაშვილის ქუჩაზე საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან მოწვეული ხალხური რეწვის ოსტატთა ნამუშევრების (ხალიჩა, ფარდაგი, თექა, ქვილთი, კერამიკა, გობელენი და სხვა აქსესუარები) გამოფენა მოეწყობა. ღონისძიების ფარგლებში საკუთარ ნამუშევრებს გამოფენენ სამხატვრო აკადემიის სტუდენტები.

საფესტივალო ქუჩის მთელ პერიმეტრზე მედუდუკეთა და ფოლკლორული ანსამბლები განლაგდებიან. სადაც აკორდეონით გალიანოს ნაწარმოებები შესრულდება.

ყოფილი „პოპულის“ შენობასთან ღვინის კომპანიები ევროპული წესით დაყენებული ღვინის გამოფენას გამართავენ. აქვე მოხდება ღვინის დეგუსტაცია.

ფესტივალი 19 : 00 საათზე, ერეკლე II-ის მოედანზე გამართული კონცერტით დასრულდება , რომელშიც მონაწილეობას საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან მოწვეული ანსამბლები მიიღებენ.

შემოდგომის ფესტივალი ტრადიციულად შემოდგომაზე იმართება, რომლის ძირითადი მიზანია ტურიზმის განვითარება, ასევე, ღვინის სახეობების და ქართული კერძების საზოგადოებისთვის გაცნობა.

დიდ სამამულო ომში დაღუპული ქართველი ჯარისკაცის ნეშტი, 73 წლის შემდეგ, მშობლიურ სოფელში დაკრძალეს

დავით ჩალახეშაშვილის ნეშტი 73 წლის შემდეგ მშობლიურ მიწას მიაბარეს. დიდ სამამულო ომში 1942 წელს დაღუპული ქართველი მებრძოლის დაუმარხავი ნეშტი ქალაქ ვოლგოგრადიდან სამშობლოში გადმოასვენეს და სოფელ ოზაანის გმირთა მემორიალის ეზოში დაკრძალეს. ცერემონიალს დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგებელი ნიკოლოზ ჯანიაშვილი, საკრებულოს თავმჯდომარე ზვიად ჯავახიშვილი და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

ცლუნკაანელი (ამჟამად ოზაანის შემადგენლობაშია) მკვიდრი დავით ჩალახეშაშვილი სტალინგრადის მახლობლად, ხუტორ-ბუერაკ-პოპოვსკისთან გამართულ სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში 1942 წლის აგვისტოში დაიღუპა. მისი საძვალე რეგიონული სამძებრო ჯგუფის წევრებმა და იტალიელმა კრისტიან ჩივეტამ 2015 წლის 24 ივლისს აღმოაჩინეს.

საქართველოში შვეიცარიის საელჩოს რუსეთის ინტერესების სექციამ ჩალახეშაშვილის ახლობლების მოსაძებნად დედოფლისწყაროში სამამულო ომის მონაწილეთა რუსეთის კავშირის პრეზიდენტი საქართველოში ვალერი სვარჩუკი გამოაგზავნა. წინაპრის ნეშტის პოვნის შესახებ ინფორმაციის მიღებისთანავე მისმა შთამომავლებმა გადმოსვენებაზე ზრუნვა დაიწყეს. გადმოსვენების პროცესში აქტიურად ჩაერთნენ მუნიციპალიტეტის საკანონმდებლო და აღმასრულებელი ორგანოების წარმომადგენლები. ინტენსიური მუშაობის შედეგად ნეშტის ჩამოსვენება და პატივით დაკრძალვა მისი პოვნიდან ორ თვეში მოხერხდა.

,,დღეს ჩვენ შევიკრიბეთ, რათა სამუდამო პატივი მივაგოთ ქართველ მებრძოლს , რომელიც 1942 წელს ფაშიზმთან ბრძოლაში გმირულად დაიღუპა. ეს დღე ერთდროულად სასიხარულოცაა და ტკივილიანიც. ამიტომაც ვულოცავ ოჯახს და მთელს თქვენს სოფელს დავით ჩალახეშაშვილის ნეშტის სამშობლოში გადმოსვენებას. ამიერიდან შთამომავლობას გექნებათ წინაპრის საფლავი და შესაძლებლობა მოგეცემათ ღირსეულად დააფასოთ და პატივი მიაგოთ მის ხსოვნას. ასევე, თანაგიგრძნობთ იმ მწუხარებისათვის, რომელიც მრავალი წლის წინ 20 წლის ახალგაზრდის დაკარგვამ მოგანიჭათ"-ამ სიტყვებით მიმართა დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ზვიად ჯავახიშვილმა სოფელ ოზაანის მეორე მსოფლიო ომში დაღუპულ გმირთა მემორიალთან შეკრებილ საზოგადოებას.

დაკრძალვის ცერემონიალს დავით ჩალახეშაშვილის 89 წლის და, შვილიშვილები, შვილთაშვილები და ნათესავები დაესწრნენ. მეორე მსოფლიო ომში დაღუპული დავით ჩალახეშაშვილის დაუმარხავი ნეშტის რუსეთის ფედერაციის ვოლგოგრადის ოლქიდან დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ ოზაანში გადმოსვენების თაობაზე შესაბამისი განკარგულების გადაწყვეტილება მუნიციპალიტეტის საკრებულომ 11 სექტემბრის სხდომაზე ერთხმად დაამტკიცა.

„ქალაქ ვოლგორადში იტალიელები იმყოფებოდნენ, საძიებო აპარატის ზარის შედეგად ამოთხარეს ის ადგილი, სადაც პაპაჩემის ნეშტი იყო. ამის შემდეგ ჩაერთო რუსეთის საძიებო ჯგუფი, რის შემდეგ ვეტერანთა ასოციაციას დაუკავშირდნენ. დაგვიბარეს ოჯახის წევრები, დადასტურდა, რომ ნამდვილად ჩემი პაპის ნეშტი იყო. ჩემი სახელი და გვარი გადაიგზავნა რუსეთში, საიდანაც მოგვივიდა მოწვევა, რათა ჩავსულიყავი, რომ პაპაჩემის ნეშთი ჩაებარებინათ. დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგეობის დახმარებით, 17 სექტემბერს ვოლგოგრადში წავედი. ვოლგოგრადში ქართულმა დიასპორამ პატივი მოაგო და გამოგვაცილეს. დიდი მადლობა ყველას გვერდში დგომისთვის" - განაცხადა უმცროსმა დავით ჩალახეშაშვილმა.

ჩალახეშაშვილის ოჯახი ადგილობრივი ბიუჯეტიდან ერთჯერადად 3 ათას ლარს მიიღებს.

P.S. ვრცელ მასალას აღნიშნულ თემასთან დაკავშირებით გაზეთის შემდეგ ნომრებში შემოგთავაზებთ.

ფიროსმანის დაბრუნება

საქართველოს რეგიონებში რამდენიმეთვიანი მოგზაურობის შემდეგ ფიროსმანის ორიგინალები დედოფლისწყაროში დაბრუნდა. თვითნასწავლი მხატვრის 14 ორიგინალი თითო თვის განმავლობაში თბილისში, ქუთაისში, წინანდალსა და ბათუმში გამოიფინა. ტურისტული თვალსაზრისით ყველაზე აქტიური პერიოდი კი მირზაანში ნიკალას ორიგინალების გარეშე დასრულდა. ფიროსმანის სახელმწიფო მუზეუმის მმართველის მოვალეობის შემსრულებელი ანზორ მაძღარაშვილი ფიროსმანის მოგზაურობაში დადებით მხარესაც ხედავს, თუმცა ამბობს, რომ მირზაანისთვის ორიგინალების მთლიანად გატანა უარყოფითად აისახა. მაძღარაშვილი იმ შემთხვევებსაც იხსენებს, როცა ამის გამო დამთვალიერებლები ეზოდან უკან ბრუნდებოდნენ.

გატანილი ორიგინალებიდან თავდაპირველად 12 მათგანი დაბრუნდა, ორი კი სარესტავრაციოდ გაიგზავნა და მირზაანის საგამოფენო დარბაზში 24 სექტემბერს დაბრუნდა.

„წლევანდელი ზაფხული მირზაანში ჩავარდა, წინა წლებისგან განსხვავებით, ტურისტების მაჩვენებელი საგრძნობლად შემცირდა. პირდაპირ ვამბობ, როცა იგებდნენ, რომ ორიგინალები არ იყო, ტურისტების უმრავლესობა ეზოდან უკან ბრუნდებოდა. დანარჩენებიც უკმაყოფილებას ღიად გამოხატავდნენ, რომ ადგილზე ჩასვლისას დარბაზში ორიგინალები არ დახვდათ. ისედაც, დედოფლისწყარო ჩიხია, აქ გავლით ვერავინ მოხვდება, სპეციალურად უნდა ჩამოხვიდე, ესეც ამცირებს ტურისტების ნაკადს და მითუმეტეს, წელს ორიგინალების გარეშე დავრჩით. ის, რომ ორიგინალები წაიღეს, მირზაანისთვის და მუზეუმისთვის, ცხადია, უარყოფითად აისახა. სხვათაშორის, ეს პირველი შემთხვევა იყო. არასოდეს გაუტანიათ ორიგინალები ასე მასიურად. ზუსტად მახსოვს, მხოლოდ ერთხელ გავიტანეთ თბილისში, ისიც მხოლოდ რამდენიმე ორიგინალი. ახლა კი თოთხმეტივე ნამუშევარმა იმოგზაურა, რის გამოც მირზაანმა ამ პერიოდის განმავლობაში თავისი მნიშვნელობა დაკარგა. თუმცა, ამ მოგზაურობას ჰქონდა დადებითი მხარეც. ამ შემთხვევაში ორიგინალების მონახულების საშუალება მიეცა ისეთ ადამიანებს, რომლებიც მირზაანში ჩამოსვლას ვერ ახერხებდნენ. სხვათაშორის, მინდა გითხრათ, რომ ქალაქ ქუთაისში საკმაოდ ბევრი ბილეთი გაიყიდა და იმდენად ბევრმა დაათვალიერა, სხვა მუზეუმში ასეთი მაჩვენებელი 3-4 წლის განმავლობაში არ ფიქსირდება," - აღნიშნავს ფიროსმანის მკვლევარი ანზორ მაძღარაშვილი.

ფიროსმანის ორიგინალების რეგიონებში მოგზაურობას დადებითად აფასებს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს მუზეუმნაკრძალებისა და სამუზეუმო კოლექციების მართვის სამსახურის მენეჯერი ირმა დოლიძე. ის არ იზიარებს ანზორ მაძღარაშვილის მოსაზრებას, თითქოს მირზაანის მუზეუმი ორიგინალების გატანით დაზარალდა.

„ბოლომდე ვერ გავიზიარებთ ბატონი ანზორის მოსაზრებას. კარგად იცნობთ ამ მხარეს და იცით, რომ მირზაანის მუზეუმს არ ჰყავს იმდენი დამთვალიერებელი. მითუმეტეს, ეს დრო გამოვიყენეთ და რეაბილიტაცია მოხდა. დარბაზებს კოსმეტიკური სამუშაოები ჩაუტარდა, რაც ორიგინალების ადგილზე ყოფნის შემთხვევაში ვერ მოხერხდებოდა. გარდა ამისა, იქ სხვა გამოფენები მოეწყო, დარბაზი ცარიელი არ დარჩენილა. რაც შეეხება ორიგინალების რესტავრაციას, ამჯერად ორ ნამუშევარს ჩაუტარდა, მანამდე კი სამს. კომისიამ პრიორიტეტულობის მიხედვით დაგეგმა რესტავრაცია. კიდევ არის ნამუშევრები, რომელსაც შეიძლება გაწმენდა, ან ძველი რესტავრაციის კვალის გაქრობა დასჭირდეს.

ფიროსმანის რეგიონებში მოგზაურობა კი ნამდვილად წარმატებული იყო. მოგზაურობა 15 მარტს დედაქალაქიდან დაიწყო, სადაც ორიგინალები თბილისის ხელოვნების სასახლეში გამოიფინა. ნიკალას შემოქმედებას ყველა იცნობს, მაგრამ ფართო საზოგადოებისთვის იმდენად ხელმისაწვდომი არ იყო. დასავლეთ საქართველოს მუნიციპალიტეტებიდან სკოლების ჩამოყვანა ვერ ხერხდებოდა. ამით კი ეს საკითხი გადაიჭრა. მინდა გითხრათ, რომ შედეგმა ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. მართლაც დიდი ინტერესი გამოიწვია და ყველა ჩამოთვლილ ქალაქში ნაკადი დიდი იყო. ქუთაისის ისტორიის მუზეუმის დირექტორმა ომარ ლანჩავამ რამდენჯერმე ხაზგასმით გამოხატა კმაყოფილება, რომ ადგილზე მიეცათ ნიკო ფიროსმანის ნამუშევრების ნახვის შესაძლებლობა და ქუთაისში ყველაზე მაღალი მაჩვენებელი დაფიქსირდა. დასავლეთ საქართველოს სხვადასხვა რაიონებიც აქტიურად ჩადიოდნენ. ამას გარდა, როცა ბათუმში გადავინაცვლეთ, ადგილობრივი მუზეუმის გადაწყვეტილებით გადასახადიც მოიხსნა და სრულიად უფასოდ გახდა შესაძლებელი. ბათუმი კი ტურისტული თვალსაზრისით ერთერთი ყველაზე აქტიური ქალაქია," - განუცხადა გაზეთ „შირაქს" ირმა დოლიძემ.

ფიროსმანის მკვლევარი ანზორ მაძღარაშვილი დაუშვებლად მიიჩნევს იმ ფაქტს, რომ სიღნაღში 18 ორიგინალი ინახებოდეს, ფიროსმანის მშობლიურ მირზაანში კი-14. მისი თქმით, სიღნაღს დამთვალიერებელი არც ისე აკლია, ქალაქი სიღნაღი თავადაც მშვენიერია და მისი მნიშვნელობის ასამაღლებლად ფიროსმანის ნამუშევრების საჭიროება არ არის.

რესტავრაცია ფიროსმანის ორ ნამუშევარს „ქალი საადგომო კვერცხებით" და „შოთა რუსთაველი მაგიდასთან" ჩაუტარდა. საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს ინიციატივით, რესტავრაცია წინასწარ შედგენილი კვლევითი და სარეაბილიტაციო - საკონსერვაციო პროექტის მიხედვით შესრულდა, რომლის ფარგლებშიც ნამუშევრებზე სხვადასხვა აღდგენითი სამუშაოები განხორციელდა. მოხდა დუბლირება ტილოზე, დაზიანებული ფერწერული ფენა შეივსო სარესტავრაციო გრუნტით, ზედაპირი გაიწმინდა და დაიფარა დამცავი ლაქით, დამუშავდა სურათის ზურგის მხარე, გამაგრდა ნახევები და ფერწერული ფენა, მუყაოს ზედა ფენის დანაკარგების ადგილას გაკეთდა ჩასმები). სარესტავრაციო სამუშაოები საქართველოს ეროვნული მუზეუმის რესტავრატორებმა - ნ. მანაგაძემ და ე. კარსელმა შეასრულეს.

ილია მარტყოფლიშვილი

შეხვედრა სამშობლოსთან რვა წლის შემდეგ...

„როგორ შევეყრები მე ჩემს ქვეყანას და როგორ შემეყრება იგი მე“... – ილია ჭავჭავაძის ეს სიტყვები მთელი გზა მოსვენებას ამ მაძლევდა....8 წელი უცებ გასულა, განცდა ძალიან დიდი იყო, უზარმაზარი...ტრაპიდან რომ ჩამოვედით და მშობლიურ მიწაზე ფეხზე დავდგი, პირველი, რის სურვილიც გამიჩნდა, ჩემს მშობლიურ მიწაზე დამხობა და მისი ამბორი იყო... - ეს სიტყვები ამერიკის შეერთებული შტატებიდან 8 წლის შემდეგ სამშობლოში რამოდენიმე დღით დაბრუნებულს, ჩვენს თანამოქალაქეს, ჩვენს მეგობარს, რაიონის მოსახლეობისთვის კარგად ცნობილ და პატივსაცემ ადამიანს, თამარ ღუბიანურს ეკუთვნის. ისინი, მთელი ოჯახი, კალიფორნიის შტატში, ლოს-ანჟელესში ცხოვრობენ. ოჯახის მეთაური, რაიონში ცნობილი დერმატოლოგ-ვენეროლოგი, უზომოდ შრომისმოყვარე, ერუდირებული, პატიოსანი, ყველასათვის ძვირფასი ადამიანი გიორგი ობოლაშვილი ოჯახზე ადრე, 2004 წელს გაემგზავრა აშშ-ში და თავდაუზოგავი შრომით შესძლო, რომ სამ წელიწადში ოჯახიც წაეყვანა და მათთვის ნორმალური პირობები დაეხვედრებინა, შვილებისთვის-მაკასთვის და ლევანისთვის უმაღლესი სასწავლებლებიც იქ დაემთავრებინებინა. დღეს თითოეული მათგანი იქ დასაქმებულია საკმაოდ ნორმალური ანაზღაურებით, გია და თამრიკო სამედიცინო სფეროში მოღვაწეობენ, ლევანი საადვოკატო ბიუროში, მაკა დროებით უმუშევარია, აქვს სერიოზული შემოთავაზებები, არჩევანის რეჟიმშია. სამშობლოზე უზომოდ შეყვარებული ოჯახი, მოქალაქეობის მიღებისთანავე რიგ-რიგობით ჩამოდიან, წელს მაკას და თამრიკოს ჯერი დადგა. სამი კვირის განმავლობაში არ წყდებოდა მათთან სტუმრიანობა, მონატრებული ნათესაობის, მეგობრებისა და გულშემატკივრების ჟრიამული და მხიარულება, ბოლოს კი ცრემლიანი გაცილება და იმედი, რომ ერთ მშვენიერ დღეს აუცილებლად დაბრუნდებიან...

- ამდენი წლის შემდეგ დაბრუნებულს, რა განცდა გქონდათ , პირველად, ქართულ მიწაზე რომ დადგით ფეხი?

-„როგორ შევეყრები მე ჩემს ქვეყანას და როგორ შემეყრება იგი მე?“ – ეს სიტყვები მთელი გზა არ მასვენებდა, როგორც კი ტრაპიდან ჩამოვედით, პირველ რიგში უფალს მადლობა შევწირე, რომ კიდევ მოგვეცა სამშობლოსთან შეხვედრის ბედნიერება, ხოლო როდესაც ფეხქვეშ მშობლიური მიწა ვიგრძენი, სიხარული იმდენად დიდი იყო, ენითაუღწერელი, ამ განცდას სიტყვებით ვერ გადმოვცემ, ეს რომ იგრძნო, უნდა ამდენივე ხნით ასეთივე შორეულ ქვეყანაში წახვიდე და დაბრუნდე...

- იქ სადაც თქვენ ცხოვრობთ, მატერიალურად ასეთ განვითარებულ, ზესახელმწიფოში, რა მოქალაქეობრივი, მენტალური თვისება აქვთ ისეთი, რაც ჩვენს ხალხს გვაკლია და ხელს გვიშლის განვითარებაში?

-ჩვენ მენტალურად ბევრად განსხვავებული ერი ვართ, იქ არ არიან სხვისი საქმით და ცხოვრებით დაინტერესებულნი, აკეთებენ, შრომობენ და იცავენ კანონებს...იქ ერთი დღეც რომ ჩაგივარდეს და „მხართეძოზე“გაატარო, უკვე გეშინია მომდევნო დღის, ეს განცდა ჩვენთან ნაკლებად არის, ჩემი შვილები იქ პირდაპირ დადგნენ მარტივი რეალობის წინაშე: ისწავლი, იმუშავებ და დაგიფასდება. თავიდან ძალიან მწყდებოდა გული ყველაფერზე,რასაც იქ ვხედავდი, რაც იქ ხდებოდა,როგორ არიან სახელმწიფოს მიერ დაცულები და დაზღვეულები, ახალგაზრდა იქნება თუ საპენსიო ასაკის ხალხი, მინდოდა, ჩემს სამშობლოშიც ასე ყოფილიყო ყველაფერი, რადგან შედარებას რომ ვახდენ სხვა ერებთან, ჩვენ ქართველები უდიდესი პოტენციალის ერი ვართ და ყველანაირად ვიმსახურებთ, რომ ვიდგეთ ცივილიზებულ სახელმწიფოთა რიგებში...

- რა სტერეოტიპული წარმოდგენა გაგაჩნდათ ამერიკასთან დაკავშირებით,რომელიც დაიმსხვრა ჩასვლისთანავე?

-თავიდან ძალიან მეშინოდა, როგორ შევეგუებოდით უცხო ქვეყანას მე და ჩემი შვილები, მიგვიღებდა თუ არა ის თავის წევრებად, ზოგადად, ძალიან ცივ და მკაცრ ქვეყანად მიმაჩნდა ამერიკა, მაგრამ ასე არ ყოფილა. მიუხედავად იმისა, რომ მე პირადად კარგა ხანს დამჭირდა ენობრივი ბარიერის გადალახვა,რომელიც ერთ-ერთი დამთრგუნველი ფაქტორია, მაინც მალე შევეგუე იქურობას. მეგონა, იქ კანონი ბოლომდე სრულდებოდა, მაგრამ აღმოჩნდა, რომ იქაც არის კანონდარღვევები, ცოტ-ცოტა კორუფციულ ფაქტებსაც აქვს ხოლმე ადგილი, მაგრამ ყველაფერი რაღაც ზომიერების ფარგლებში ხდება, ზღვარგადასული არაფერი იციან, იციან მეგობრობაც, გვერდში დგომაც, მაგრამ არის ძალიან ცივილური, ზომიერი ურთიერთობები, ზედმეტ პრობლემას თავზე არავინ მოიხვევს. ქუჩაში ყველა ერთმანეთს ვუღიმით და ვესალმებით, უცნობიც და ნაცნობიც, სევდიან და დაბოღმილ სახეებს ნაკლებად შეხვდებით, სახელმწიფო მატერიალურად უდიდეს მხარდაჭერას უწევს თავის მაცხოვრებლებს, მათ შორის, რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, ხალხიც ზრუნავს ერთმანეთზე, მდიდარი მეზობელი ფიქრობს, რაღაცნაირად გვერდში დაუდგეს გაჭირვებულ მეზობელს, თუნდაც თავის ოჯახში ან კომპანიაში დაასაქმოს მუშად, გაჭირვებული სახეების ყურებას, ასე ურჩევნიათ. მეც უკვე თამამად შემიძლია ვთქვა, რომ მივიღე ის ქვეყანა ჩემს მეორე სამშობლოდ, ისევე, როგორც მიგვიღო მან. ჩვენ და ჩვენი შვილები, ძალას არ ვიშურებთ, ჩვენი ქვეყანა მაქსიმალურად კარგად წარმოვაჩინოთ, ყველგან, სასწავლებელში თუ სამსახურში ვცდილობთ, ღირსეულად წარმოვადგინოთ ჩვენი სამშობლოს სახე.

- თითოეულ თქვენგანს უკვე გაქვთ მოქალაქეობა, ლოს-ანჟელესში გაქვთ თქვენი საკუთარი სახლი, დაიმკვიდრეთ თქვენი ადგილი, რა განცდაა, რამდენად მშობლიურად იქცა ის გარემო და ხედავთ თუ არა საკუთარ მომავალს სამშობლოში?

- როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ჩვენ ის ქვეყანა უკვე მეორე სამშობლოდ გვექცა, მიუხედავად ამისა, არ არსებობს ჩვენი ოჯახისთვის არცერთი წუთი, რომ სამშობლოში დაბრუნებაზე არ ვიფიქროთ, ამ იმედით ვცხოვრობთ იქ. დავრწმუნდი იმაშიც, რომ ყველა ერს აქვს სამშობლოს ნოსტალგიის განცდა, მანამდე მეგონა, მარტო ქართველებს გვქონდა ჩვენი ქვეყნისადმი განსაკუთრებული დამოკიდებულება. სურვილი გვაქვს, ორ წელიწადში ერთხელ მაინც ჩამოვიდეთ ხოლმე ჯერჯერობით, მაგრამ როდესაც საბოლოოდ დავბრუნდებით, დიდი იმედი მაქვს, ჩვენს ქვეყანაში კიდევ უფრო ბევრი რამ დამხვდება სასიკეთოდ შეცვლილი და ქუჩაშიც მეტი გაღიმებული ხალხი ივლის.-ასე ოპტიმისტურად დაასრულა ჩვენთან საუბარი სამშობლოს მონატრებულმა ჩვენმა მეგობარმა და დაგვემშვიდობა. ჩვენ კი, მათი გულშემატკივრები, იმ იმედით დაგვტოვეს, რომ ერთ დღეს აუცილებლად დაბრუნდებიან, რადგან ასეთი ნიჭიერი და ლამაზი ხალხის იქ დარჩენა არამარტო ჩვენთვის, არამედ ქართული გენოფონდისთვის უდიდესი დანაკლისი იქნება.

ელზა ხარაშვილი

„რა იქნება ჩემი ენა ვიცოდე, ვლაპარაკობდე, ვკითხულობდე ქართულად“ – ტაოელი ქართველების ნატვრა და თხოვნა ...

“ისე გამიხარდა, რომ მითხარით, საქართველოდან გირეკავთო... რაღაცნაირად დამიარა გულში თბილმა ტალღამ. ლამაზად ვერ ვლაპარაკობ ქართულად, მაგრამ გულით ვამბობს, რასაც ვამბობ და იმედია, მიმიხვდებით და გამიგებთ – მინდა, ჩემი ენა არ დაიკარგოს და ჩემმა შვილებმაც შეძლონ ქართულად წერა-კითხვა. აქამდე ისე მოვედით, რომ რაღაც დონეზე მაინც შევინარჩუნეთ ქართული, მოსაუბრე აზრს გაჭირვებით გამოიტანს და რახან აქამდე ასე მოვედით, გვინდა, სკოლებში ქართული ისწავლებოდეს. ჩვენი დედაენა ძალიან გვიყვარს. მახსოვს, ჩემი წინაპრების მიერ ქართულად შესრულებული სიმღერები და ზღაპრები.

- ხომ იყო პროგრამა, რომლის მიხედვითაც თურქეთის სკოლებში ქართული ენის გაკვეთილების უნდა დაწყებულიყო?

- იყო, მაგრამ ალბათ ქაღალდზე, ან სულაც თითო-ოროლა სკოლაში შეიტანეს. ჩვენამდე არ მოუღწევია... არადა, აქ რომ ქართველები ჩამოდიან, ტურისტები, ან სხვანი, თუნდაც ბიზნესმენები, თვალებს ცრემლი მოსდის, ისე მინდა ჩემიანებს ჩავეხუტო და მოვეფერო, მინდა ვიუთხრა, რომ მათ ჩემს და-ძმებად ვთვლი. ზოგი იგებს ჩემს განწყობას და იგივე სითბოთი მპასუხობს, ზოგი - ვერა. ვერც მე ვიგებ, რას მეუბნებიან ჩემებური ქართველები. ბევრი უბრალოდ მიღმის და თავს მიქნევს, რადგან ჩემს არეულ-დარეულ ლაპარაკს ვერ იგებს. სახლში შევდივარ და ვფიქრობ, რა იქნება ჩემი ენა ვიცოდე, ვლაპარაკობდე, ვწერდე, ვკითხულობდე ქართულად... მინდა, ჩემი შვილები მაინც ესაუბრებოდნენ აქ ჩამოსულ ქართველებს გამართულად. აქ გარშემო არავინ იცის სალაპარაკო ქართული. საშუალება რომ იყოს, მეც ვისწავლი, ჩემი ცოლიც. შვილებზე ხომ ლაპარაკიც არ არის. ჩვენც ხომ ქართველები ვართ... თქვენთვისაც კარგი არ იქნება აქ რომ ჩამოხვალთ, ჩვენებურად დაგელაპარაკოთ? იქნებ ,მოგვაქციონ ყურადღება და გულთან ახლოს მიიტანოს ვინმემ ჩემი სურვილი. ჩემს აზრზეა გარშემო ყველა, რადგან სულ ქართველები ვართ - ჩვენამდე წინაპარმა შეინარჩუნა და მოიტანა ენა. ის ქართული კერძებიც კი კეთდება ჩემს სახლში, რასაც ჩემი დიდი ბებია აკეთებდა, არ გვინდა მოვწყდეთ ჩვენს ფესვებს. ახლა თქვენც დაგვეხმარეთ, რომ ჩვენი შვილებმა მშობლიურ ენაზე დაიწყონ ლაპარაკი და ფესვებს დაუბრუნდნენ.

- რამდენი შვილი გყავთ?

- ხუთი, ისეთი კარგი ბიჭები მყავს, ერთი ფეხბურთელია. ჯერ პატარაა, მაგრამ მაინც იცის, რომ ქართველია... აქ ჩვენ ყველაფერი გვაქვს, სამსახურიც, ნორმალური შემოსავალიც, ცხოვრების პირობებიც. მადლობელი ვართ თურქეთის ხელისუფლების, ყველაფერის გვაქვს, დედაენის შესწავლის საშუალების გარდა, მშობლიური ენა კი, ყველაფერზე ტკბილი და მნიშვნელოვანია.

ამ ცოტა ხნის წინ, გავრცელდა ინფორმაცია, რომ თურქეთის განათლების სამინისტრომ უკვე დაამტკიცა ქართულიენის სწავლების პროგრამა, რომელიც მიმდინარე წლიდან თითოეულ საშუალო სკოლაში ქართული ენის შემსწავლელი 10 და მეტი მოსწავლის არსებობის შემთხვევაში, V, VI, VII და VIII კლასებში სწავლის 244 საათს ითვალისწინებდა. მაშინ, პროექტის ორგანიზატორი, ელიზბარ ცივნარიძე გვიყვებოდა, რომ ეს პროექტი თურქეთში მცხოვრები ქართველებისთვის მართლაც ისტორიული მნიშვნელობის იყო და ალბათ ოქროს ასოებით ჩაიწერებოდა.

ელიზბარ ცივნარიძე:

- “ქართული კულტურის სახლის” ინიციატივითა და თურქეთის ეროვნული განათლების სამინისტროს მოთხოვნის შესაბამისად, მათთან თანამშრომლობის საფუძველზე, მომზადდა “ქართული ენის სასწავლო პროგრამა” (ნუსხა), როგორც არჩევითი საგანი თურქეთის სკოლების მოსწავლეებისთვის. შემდეგ ეტაპზე, ჩვენი სურვილია, მთელი თურქეთის მასშტაბით, საშუალო სკოლებისა და რელიგიური სკოლების V, VI, VII და VIII კლასის მოსწავლეებმა მას მიანიჭონ უპირატესობა, როგორც არჩევით საგანს. მთავარია, ინფორმაცია სწორად და დროულად მიაწოდონ ქართული წარმოშობის მოსწავლეებსა და მშობლებს, რომელთა მშობლიური ენა ქართულია. უკვე ვმუშაობთ ამ მიმართულებით და ყველას, ვისაც ქართული ენის შესწავლა აინტერესებს, მოვუწოდებთ, უპირატესობა ქართულ ენას მიანიჭონ. არსებული რეგულაციის თანახმად, სკოლის ხელმძღვანელობას სპეციალური კლასის გახსნა მხოლოდ იმ შემთხვევაში შეეძლება, თუ ამის სურვილს 10 მოსწავლე მაინც გამოთქვამს. აქამდე არსებულ მსგავს სასწავლო პროგრამებს შორის, ქართული ენა პირველია, რომელიც თურქეთის საგანმანათლებლო სისტემაში საკუთარი ანბანით შემოდის. გარდა ამისა, ქართული აღიარებულია, როგორც საერთაშორისო, ისე - ადგილობრივ, ცოცხალ ენად...

და ნურც გვეცოცხლოს უსაქართველოდ...

დედოფლისწყაროს მხარეთმცოდნეობის მუზეუმში კიდევ ერთი საინტერესო ღონისძიება ჩატარდა. 17 სექტემბერს მუზეუმმა უმასპინძლა დედოფლისწყაროს სათემო ორგანიზაცია „ხორნაბუჯს“, რომელსაც თავისი ათწლიანი არსებობის მანძილზე მრავალ პროექტში აქვს მონაწილეობა მიღებული და ბევრი საჯარო ღონიძიებაც მოუწყვია. ამჯერად „ხორნაბუჯმა“, კავკასიური სახლის ეგიდით, ჩაატარა დასკვნითი ღონისძიება პროექტისა „დედოფლისწყარო – ჩემი სამშობლო, ჩემი კუთხე“, რომლის მიზანიც იყო წარმოეჩინა ჩვენს მუნიციპალიტეტში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობების კულტურა, ზნე-ჩვეულებები, კულინარია და, რაც ყველაზე მთავარია, მათი თანაცხოვრება ქართველებთან, მათი დამოკიდებულება საქართველოს მიმართ.

ღონისძიებაში მონაწილეობდნენ საბათლოს, ხორნაბუჯისა და სამრეკლოს საჯარო სკოლების მოსწავლეები.

ღონისძიება გახსნეს და ისინი დამსწრე საზოგადოებას წარუდგინეს პროექტის ხელმძღვანელებმა მანანა ყატაშვილმა და ლალი გურასპაულმა.

ხალხთა მეგობრობას ეხებოდა ღვაწლმოსილი პედაგოგის ეგული ყოჩიაშვილის მიერ წარმოდგენილი თემა, რომელშიც ვრცლად იყო მიმოხილული ქართველების, რუსების, სომხების, აზერბაიჯანელების, ოსების, აფხაზების თანაცხოვრება, ასახული ლიტერატურაში, კინემატოგრაფიაში, სპორტში, წარსულსა, აწმყოსა თუ მომავალში.

- „ცა ფირუზ, ხმელეთ ზურმუხტო, ჩემო სამშობლო მხარეო“- ასე დაიწყო თავისი გამოსვლა სოფელ საბათლოს საჯარო სკოლის გასული წლის კურსდამთავრებულმა თამილა სურმანიძემ. მან მიმოიხილა საბათლოს დაარსების მოკლე ისტორია, როცა ცარიზმის წაქეზებით ამიერკავკასიის ხალხთა შორის ურთიერთობები დაიძაბა და აზერბაიჯანული მუსავატელების მიერ დევნილმა სომხურმა მოსახლეობამ თავი საქართველოს შეაფარა. მას მერე თითქმის ორი საუკუნეა, საბათლოში ჩასახლებული სომხები თავს საქართველოს მოქალაქეებად აღიარებენ, შეეთვისნენ ქართველ ერს და მათთან ერთად არიან ჭირსა თუ ლხინში.

- „ჩემი სამშობლოს - საქართველოს სილამაზეს და სიყვარულს მე ჩემი სოფლით და იქ მცხოვრები ადამიანებით შევიგრძნობ. სოფელში ერთად ვცხოვრობთ სომხები, თუშები, ინგილოები, აჭარლები, მთიელები, აზერბაიჯანელები და მეამაყება, რომ თითოეული მათგანი თავს ერთი დიდი ოჯახის წევრად მიიჩნევს და, რომ პატივს ვცემთ ერთმანეთის კულტურას, ტრადიციებს, ერთად ვზეიმობთ დღესასწაულებს და ერთად ვწუხვართ საწუხარს, ერთნაირად გვიყვარს და ვზრუნავთ ჩვენს სამშობლოზე, საქართველოზე“- თქვა თამილა სურმანიძემ და თავისი სოფლის ახალგაზრდობის პატრიოტული სულის წარმოსაჩენად სიტყვა გადასცა საბათლოს საჯარო სკოლის მოსწავლეებს, რომლებმაც ლექსსა, სომლერასა თუ ცეკვაში გამოხატეს თავისი დამოკიდებულება. მშვენიერმა პროგრამამ, რომელშიც პირველკლასელებიდან დაწყებული უფროსკლასელებით და პედაგოგებით დამთავრებული ყველა გულწრფელად მონაწილეობდა, აღტაცებული დატოვა დამსწრე საზოგადოება. საბათლოელი ბავშვები მშვენივრად ფლობენ ქართულ ენას, წარმოსთქვმენ ლექსებს მკაფიოდ, მხატვრულად და გულწრფელი ემოციით. პატარა მოცეკვავეებს ახალთ-ახალი ეროვნული ტანსაცმელი იმ დილით ერევნიდან გამოუგზავნეს. მათ სიამაყით მოირგეს ფორმები და მთელი მონდომებით შეასრულეს სომხური ცეკვა და აპლოდისმენტებიც დაიმსახურეს. დარბაზი სულგანაბული უსმენდა რობერტ ჩარქანდიანს, რომელმაც ბრწყინვალედ შეასრულა საიათნოვას რამდენიმე სიმღერის სომხური ვარიანტი. საქართველოს ლამაზ მთა-ბარს და მის სიყვარულს ეფერებოდნენ მხატვრული სიტყვებით სომეხი და ქართველი ბავშვები - ნარეკ საფარიანი, ანა დავითაძე, რუბო მოსიანი, ალვარდ ჩარქანდიანი, ნუკრი სურმანიძე, ანა აივაზიანი, მაია ნერსესიანი, სუზეიკ ჩოუშიანი, ნარეკ საფარიანი, ვლადიმერ აივაზიანი, ლია ოვსეფიანი, აიდა ნალტაკიანი. საბათლოს საჯარო სკოლის პედაგოგთა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მათ ძალიან ბევრი უმუშავიათ პროექტის წარმატებულად წარმოსადგენად. პედაგოგ მაყვალა კობაიძის ძალისხმევით ბავშვებმა სოფელში მოაგროვეს ეთნოგრაფიული ნივთები, ხელით ნაკეთობები, ნაქარგები, ნაქსოვები და მუზეუმში გამოფინეს. აქ შეხვდებოდით ასი წლის აკვანს (სომხური ვარიანტი) ამავე ასაკის საოცარ საწოვარას ჩვილი ბავშვისათვის, სამოვრებს, ჩაიდნებს, სადღვებელს, ლანგარს, უძველეს ჩემოდანს და „საკვაჟს“ ეკლესიის მაკეტს, ჩუგუნის უთოს და სხვა მრავალ რამეს, რომლის ქონაზეც არც ერთი მუზეუმი არ იტყვის უარს. ასე რომ, მართალია საბათლოელები სიშორის, უგზოობისა და უტრანსპორტობის გამო ხშირად ვერ ახერხებენ რაიონის საზოგადოებას აჩვენონ თავისი შესაძლებლობები, მაგრამ ამჯერად ისინი წარმოუდგენლად მაღალ დონეზე წარსდგნენ დამსწრე საზოგადოების წინაშე.

ბოშების ცხოვრებისა და საქმიანობის შესახებ მოხსენებით წარსდგა მსმენელის წინაშე №1 საჯარო სკოლის მოსწავლე ანი დავითაშვილი. თემა შეეხებოდა დედოფლისწყაროში ბოშების დამკვიდრების ისტორიას, მათ წარსულს და დღევანდელ ყოფას. ვფიქრობთ, ეს საინტერესო ნაშრომია და მასზე სხვა დროს მოგითხრობთ ჩვენი გაზეთის ფურცლებიდან.

ხორნბუჯის საჯარო სკოლის მოსწავლეებმაც თავისი სიტყვა თქვეს ამ პროექტში. ჟანა მულიგინამ თავისი გვარის წარმომავლობასა და შრომით საქმიანობაზე ისაუბრა. ბოშა პეტია პროშევის გულით ნამღერმა სიმღერამ „ ჩამოვუქროლებ ჩემს საქართველოს“ დარბაზიც ერთხმად აიყოლია, ხოლო სომეხი ნიკოლოზ მკრტიჩიანის და უკრაინელი ნიკოლა დენისენკოს მიერ შესრულებულ ცეკვა „აჭარულს“ იმპროვიზერებულად ჩაერთო საბათლოელი თამილა სურმანიძე, რამაც დამსწრეთა აპლოდისმენტები გამოიწვია.

ამ პროექტის მონაწილე სამრეკლოს საჯარო სკოლის მოსწავლეებს ეთნოგრაფიული გასვლა ჰქონდათ ჰერეთში, სადაც მათ შეაგროვეს ქართული და აზერბაიჯანული სამზარეულოს რეცეპტები. ამ საკითხთან დაკავშირებით ისაუბრა თათია სამუკაშვილმა, რომელიც იმასთან ერთად, რომ არის საუკეთესო მოსწავლე და ორგანიზატორული ნიჭით დაჯილდოებული ახალგაზრდა, ამავდროულად შესანიშნავი მზარეულიცაა და ხშირად მასპინძლობს ინგილოური საჭმელებით თანაკლასელებსა და პედაგოგებს (მას დედა ჰერეთიდან ჰყავს).

ღონისძიება თავისი ვირტუოზული შესრულებით დაამშვენა დედოფლისწაროს სამუსიკო სკოლის კურსდამთავრებულმა, ნიჭიერმა და პერსპექტიულმა ახალგაზდამ მალვინა ისმაილოვამ. მან ვიოლინოზე შეასრულა რამდენიმე კლასიკური ნაწარმოები.

როგორც ყოველთვის, მსმენელთა მქუხარე აპლოდისმენტები დაიმსახურა პოეტმა თამაზ წიკლაურმა. მან ჩვეული ოსტატობით წაიკითხა საკუთარი ლექსი, მიძღვნილი დედოფლისწყაროსადმი.

ეური დაუგდეთ, გარიჟრაჟის სიო
რას მდერის,
რას იმეორებს კამბეჩოვნის ცისკრის ნათელი,
ქიზიეი იეო საქართველოს ამერიმერის
გაუხეტელი ცისე-ბურჯი და ციტადელი.
ეს მხარე იეო ჩვენი ქვეყნის სიმტკიცის ფარი,
ჰურის ბედელი, შემოსავლით ღვთიეგურთხეული.
ამ მიწას ხნავდა ქიზიეელი, აბჯარში მჯდარი.
და დღენიადაგ გარს ეხვია მტერი
წეეული.
მტრულად ხვდებოდა მომხდურსა
თუ ავის მოსურნეს
ამ მიწა-წყლისთვის სიკვდილსაც კი
არად აგდებდა,
სუფრას უშლიდა ერთგულებს და
მოყვრად მოსულებს,
ხიზან-მდგმურებსაც ხელგაშლილი
აჰურადებდა.
კამბეჩოვანი შეუნახა მშობელ ქვეყანას,
რისთვისაც ბევრჯერ საკუთარი
სისხლი გაწირა.
მერე სხვადასხვა მოდგმის ხალხიც
აქვე შეჰყარა
და მადლიანი მიწა-წყალი გაუნაწილა.
ბერძენ-სომეხი, ლეკი, ოსი, მიიღო
მშვიდად,
რუსსაც გაუო გული, როგორც
ფუძე მშობელი,
რომ მომავალში ამ მზისა და ცის
სადიდებლად
მათ გვერდით ეთქვა ქართულ სულის საგალობელი.

ღონისძიება გაახალისა მანანა ყატაშვილის მიერ შეთავაზებულმა კონკურსმა - „ ვინ მეტი იცის დედოფლისწყაროს შესახებ“. ბავშვები ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ დედოფლისწყაროს ღირსშესანიშნაობათა, გამოჩენილ ადამიანთა, სპორტსმენთა დასახელებაში, რითაც ბევრი რამ გაიგეს ერთმანეთისაგან.

სამახსოვრო იყო დიდი რუსი მწერლის ალექსანდრე ფადეევის შთამომავლის, პირველკლასელი თათია ბეკოშვილის მიერ მხატვრულად წაკითხული გალაქტიონის „მერი“.

პროექტის ხელმძღვანელებს გაწეული თავდაუზოგავი და მიზანმიმართული მუშაობისთვის და მშვენიერი ღონისძიების წარმოდგენისთვის მადლობა გადაუხადეს კულტურისა და სპორტის სამსახურის უფროსმა ნონა ჯიბღაშვილმა, გამგეობის კულტურის, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის სპეციალისტმა ნანული ნატროშვილმა, რესურსცენტრის დირექტორმა ეთერ ზურიკაშვილმა. არასამთავრობო ორგანიზაცია „დედოფლისწყაროელის“ თავჯდომარემ ეთერ ფიცხელაურმა, პედაგოგებმა მაყვალა კობაიძემ, ლია ბაიდოშვილმა, მარინა პოპოვამ.

პროექტი შეაფასა კავკასიური სახლის სპეცალისტმა, ჟურნალისტმა მიხო ბეროშვილმა: - კავკასიური სახლი ბევრ მსგავს პროექტს ხელმძღვანელობს, იქ მრავალი ღონისძიება ეწყობა და მუშაობა მიმდინარეობს კავკასიური ერების, და არა მხოლოდ მათი, წარმოჩენისთვის, ხელშეწყობისა და თანადგომისათვის. სასურველი იქნება, თუ თქვენს სკოლებს, პედაგოგებს, მოსწავლეებს კავშირი ექნებათ ჩვენთან, თუ ინტენსიურად მოიხმართ ჩვენს ვებ-გვერდს, სადაც თქვენთვის საინტერესო ბევრი მასალა ქვეყნდება. ეს თქვენი ცოდნის ჰორიზონტის ზრდას მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს. მაგალითად მინდა მოვიყვანო თქვენი რაიონის საგანმანათლებლო ცენტრი „სპექტრი“ და მისი ხელმძღვანელი ქალბატონი ნუნუ ცაკაშვილი, რომლებიც სისტემატურ კავშირში არიან ჩვენთან და მათი განათლების ხარისხი ყველამ კარგად იცით. მათი კურსდამთავრებულების ასი პროცენტი უმაღლეს სასწავლებელში უპრობლემოდ ირიცხება და მაღალ საგრანტო შედეგებსაც იღებს. აქ ხომ ერთმანეთის გვერდიგვერდ სწავლობენ რუსი, სომეხი, აზერბაიჯანელი, ბოშა, უკრაინელი და სხვა ერის ბავშვები. მე ვპირდები დღევანდელი ღონისძიების მონაწილეებს, დავაკომპლექტებთ ეროვნებების მიხედვით მხატვრულ ლიტერატურას, ლექსიკონებს, მუსიკალურ ნაწარმოებებს, ილუსტრაციულ მასალას და კავკასიური სახლის და მისი ხელმძღვანელის, გამოჩენილი ქართველი მწერლის, ქიზიყის შვილის -ნაირა გელაშვილის სახელით საჩუქრად გადავცემთ მათ. რაც შეეხება პროექტს, მისი ხელმძღვანელების სანაქებოდ უნდა ვთქვა, რომ შესანიშნავი ნამუშევარი იყო, მე მოვიხიბლე ამ ბავშვების ნიჭიერებით, მათი ქართულით და გულწრფელობით. დიდი მადლობა მათ.

თავის გამოსვლაში პროექტის ერთ-ერთმა ხელმძღვანელმა მანანა ყატაშვილმა თქვა: როდესაც ღონისძიებას ვგეგმავდით, თავდაპირველად გვინდოდა უფრო მეტად ჰქონოდა კონკურსის სახე. თუმცა, თავიდანვე ვვარაუდობდით, რომ შესაძლოა, კონკურსი სრულად ვერ შემდგარიყო, რადგანაც სხვადასხვა ასაკის ბავშვები მონაწილეობდნენ, არათანაბარი შესაძლებლობები იქნებოდა და სხვადასხვა ჟანრში მოუწევდა საკონკურსო ნამუშევრების წარმოდგენა. მაინც მინდა ვთქვა, რომ იმ ნამუშევრებმა, რომელიც ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელმა ბავშვებმა წარმოადგინეს, ვფიქრობ, მშვენივრად შეასრულა ჩვენი პროექტის მთავარი მიზანი, მათ ძალიან კარგად წარმოაჩინეს თავისი კუთხე, ეთნიკური ტრადიციები, ყველა შესაძლებლობა ჩართეს და მაყურებელსაც და თანატოლებსაც გააცნეს მათი ერისათვის დამახასიათებელი სხვადასხვა ტრადიცია. სამომავლოდ ჩვენი ორგანიზაცია ამ მიმართულებით მუშაობას კვლავაც გააგრძელებს. გარკვეული საპროექტო წინადადებები უკვე გვაქვს შემუშავებული და დონორ ორგანიზაციასთან წარდგენას ვგეგმავთ. სხვათაშორის, ჩვენი არასამთავრობო ორგანიზაციისათვის ბავშვებთან მუშაობის ეს პირველი შემთხვევაა, მანამდე პატარებთან ღონისძიება არ ჩაგვიტარებია და, ვფიქრობთ, რომ ამ მიმართულებით გავაგრძელებთ მუშაობას.

ღონისძიების დასასრულს პროექტის მონაწილეებმა საკუთარი და მუზეუმის თანამშრომელთა ხელით მომზადებული სხვადასხვა ეროვნული კერძი მიართვეს სტუმრებს.

პროექტის თითოეული მონაწილე დასაჩუქრდა სამახსოვრო საჩუქრით და გადაეცა სიგელი წარმატებული საქმიანობისათვის.

დარბაზის მშვენივრად გაფორმებისთვის პროექტის ხელმძღვანელებმა მადლობა გადაუხადეს სამშენებლო მაღაზიის მესაკუთრს გეორქ სანამიანს, ხელოსანს ამირან თეთრაძეს და მხარეთმცოდნეობის მუზეუმის სპეციალისტს, ხელგარჯილობის წრის ხელმძღვანელს მაყვალა ბოჭორიშვილს.

ნაირა გორაშვილი

მე დღესასწაულისთვის გაჩენილი ქალი ვარ!

უკვე ერთი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის კულტურისა და ძეგლთა დაცვის ცენტრს ქალბატონი ნონა ჯიბღაშვილი უდგას სათავეში. დღიდან მისი დანიშვნისა, დედოფლისწყაროს კულტურულ ღონისძიებებს სხვა ელფერი და ხიბლი დაჰკრავს, რაც მის გამორჩეულ ხელწერაზე მეტყველებს. ამ ხნის მანძილზე უამრავი ლამაზი ღონისძიება და სახალხო დღესასწაული ჩატარდა დედოფლისწყაროში, რომელიც დაუვიწყარ სანახაობებად დარჩა ჩვენი რაიონის ისტორიაში. როგორია ერთი წლის შემდეგ თავად ქალბატონი ნონას შეხედულებები ამა თუ იმ საკითხზე, რას ფიქრობს თავად მის მიერ განხორციელებულ პროექტებზე თუ სამომავლო გეგმებზე და როგორია თავად ამ ქალბატონის მიერ განვლილი ცხოვრების გზა, ამასთან დაკავშირებით თავად ნონა ჯიბღაშვილს ვესტუმრეთ.

მინი დოსიე: დაიბადა და გაიზარდა დედოფლისწყაროში, ყველასთვის სასურველ და საუკეთესო ადამიანის, იზოლდი გურაშვილის და ქალაქში თავისი კეთილშობილებითა და პატიოსნებით ცნობილ, მშრომელი ადამიანის მიხეილ ჯიბღაშვილის თბილ და ტკბილ ოჯახში. წარმატებით დაამთავრა დედოფლისწყაროს პირველი საშუალო სკოლა. ბავშვობიდან იყო სუპერაქტიური, საუკეთესოდ უთავსებდა ერთმანეთს სწავლასა და საზოგადოებრივ საქმიანობას. ყველა დროში, მოსწავლეობიდან დღემდე, მაქსიმალურად არის ჩართული დედოფლისწყაროს კულტურულ ცხოვრებაში. არის პოზიტიური ადამიანი, ცხოვრების ყველა ეტაპზე საქმისადმი აქვს განსაკუთრებული პასუხისმგებლობა და მის საკეთებელ საქმეში ყოველთვის ცდილობს მაქსიმუმის მიღწევას. წარმატებით დაამთავრა უმაღლესი სასწავლებელი. სტუდენტობის წლებში იყო სტუდენტური ცხოვრების სული და გული. მის მიერ ნაკეთები ყველა საქმე ადამიანებისთვის სიკეთის მოტანაზე იყო ორიენტირებული. ადრეულ ასაკში მუშაობდა ოზაანის და ზემო მაჩხაანის სკოლებში პედაგოგად, შემდეგ პარტიის რაიკომში ინსტრუქტორად, ხოლო, ბოლო წლების განმავლობაში, თბილისის მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლეში. პარალელურად, წლების მანძილზე დედოფლისწყაროში ხელმძღვანელობდა საბავშვო სტუდია „არლეკინოს", რომელშიც თაობები გაიზარდა და რომლებმაც მომავალში საუკეთესოდ შეძლეს თავისი სასცენო მონაცემების რეალიზება. ცხოვრების ყველა ეტაპზე, სადაც მუშაობდა, თავის გარშემო იკრებდა ნიჭიერ ადამიანებს და ცდილობდა, თავისი საქმით ახალი სიტყვა ეთქვა გარშემომყოფთა შორის. როგორც თავად ყვება, თითოეული სამსახურიდან ქალბატონ ნონას მოჰყვება ადამიანური დამოკიდებულებისა და ურთიერთობის საოცრად ტკბილი და თბილი მოგონებები. სოციალურ ქსელში გამოჩენის შემდეგ, თბილისის თითქმის ყველა კოლეგამ მოძებნა და აღადგინა მასთან ურთიერთობა, რაც კიდევ ერთხელ ცხადყოფს, რომ მას ყველგან თავისი სახელი აქვს დამკვიდრებული.

- ქალბატონო ნონა, მოდით ასე დავიწყოთ, ერთი წელი გავიდა თქვენი კულტურის და ძეგლთა დაცვის ცენტრის დირექტორად მოსვლიდან და ყველა აალაპარაკეთ, რომ ყველაფერი დადებითისკენ წავიდა, თქვენი ღონისძიებები უდიდეს ზეიმებად გადაიქცევა ხოლმე რაიონში, თუნდაც ის წითელხალიჩიანი რვა მარტი იებით გზამოფენილი, თუნდაც ქარიანი ფიროსმანობა, ფარდაგებითა და თექის ფარდებით გარემოსილი, სადაც თქვენს მიერ ჩადებული უდიდესი გული და სული ყველასთვის მაინც შეიმჩნეოდა. უამრავი ლამაზი დღე და კარგი რამ შექმენით, იქნებ კიდევ ჩამოთვალოთ ის მნიშვნელოვანი დღეები და აღნიშნოთ თქვენგან გაცემული რა ენერგიის ფასად იქმნება ეს ყველაფერი?!

- მოხარული და მადლობელი ვარ უფლის, თუკი საზოგადოების და იმ ადამიანების ნდობას ვამართლებ, ვინც ეს პასუხისმგებლობა დამაკისრა, ამაში დიდი წვლილი მიუძღვის რაიონის ხელმძღვანელობას, გამგეობას და საკრებულოს. რომ არა მათი თანადგომა და ერთად კარგი საქმეების კეთების დიდი სურვილი, ჩემი ყველა იდეა და მთელი სამსახურის მონდომება განუხორციელებელი დარჩებოდა. მადლობა მინდა გადაგიხადოთ თქვენ და მთელ საზოგადოებას, რომ ჩვენი შრომის საფასურად მადლიერებას და დიდ სიყვარულს გვიბრუნებთ უკან. ხელოვანის შრომის საფასური არის მაყურებლის კმაყოფილების განცდა და ამით ნამდვილად განებივრებული ვართ. ყოველივე, რაც თქვენ შეკითხვაში აღნიშნეთ, მინდა გითხრათ, რომ ნამდვილად არ ხდება იოლად. იმ ჩემს დიდ ენერგიას, მონდომებას და კეთების დიდ სურვილს უკან უდგას უამრავი ნიჭიერი პროფესიონალი ადამიანისგან შემდგარი გუნდი. ჩვენ ყველა ერთად ვაკეთებთ მაქსიმუმს, რითაც ეს წარმატება მიიღწევა. მადლობა მინდა ვუთხრა თითოეულ მათგანს გვერდში დგომისა და საქმისადმი სწორი დამოკიდებულებისათვის. ისინი თითქმის ყველა ჩემი მეგობრები არიან, ჩვენ წლებია ერთად მოვდივართ, მე ზუსტად ვიცი, ვინ, სად, რას და რომელ საქმეს შეძლებს და გააკეთებს ყველაზე უკეთ, ვის ვენდო, ვის გვერდი ავუარო, ვისი იმედი მქონდეს და ვის დავეყრდნო. ამ ყოველივეს სწორად გათვლა ფინალში ქმნის დღესასწაულს, რომლითაც, მართლაც, სულს ვუთბობთ, როგორც ყველა სტუმარს, ისე ყველა დამსწრე მაყურებელს და ჩვენც, მონაწილეები ამით უზარმაზარი დადებით ენერგიას ვიღებთ. ისევე როგორც თქვენ, მიმაჩნია, რომ ქალაქისა და ქიზიყის კულტურაში ჩვენი საქმით ლამაზ სიტყვას ვამბობთ და საერთოდ,ვთვლი, რომ ქვეყანა მაშინ გაიმართება წელში და აშენდება, როცა ყველა თავის საკეთებელ საქმეში მაქსიმალურად დაიხარჯება. მე ჩემი პროფესიონალური გუნდის თანადგომით ამ განწყობით ვქმნი ყველაფერს! ისე, ამ ინტერვიუმ ერთი საუკეთესო იდეა გამიჩინა, არ იქნებოდა ურიგო, დროდადრო, თუნდაც წელიწადში ერთხელ გავაკეთო ერთი კორპორაციული საღამო, სადაც ჩვენს მიერ გაკეთებულ საქმიანობას კიდევ ერთხელ გადავხედავთ და ერთმანეთისადმი მადლიერების განცდით დადებით ემოციებს ვაჩუქებთ ერთმანეთს.

- მე მინდა აღნიშნოთ, მაინც, როგორ მოხვედით და რა გზით მოხვედით აქამდე, საზოგადოებამ იცის, რომ თქვენ აქ შემთხვევით არ მოხვდით. დღეს თქვენ საპასუხისმგებო ადგილზე იმყოფებით, რას იტყოდით?

- გეთანხმებით, მე 18 წლიანი თავდაუზოგავი შრომითა და ამ სფეროში შეძენილი გამოცდილებით მოვედი ამ ადგილზე. ყველა დროში ამ საქმეს ვაკეთებდი უბრალოდ ახლა ხელმძღვანელის როლში ბევრად კომფორტულია ყველა იმ საქმის განხორციელება, რაც ჩემი ქალაქისა და ჩემი მოსახლეობისთვის მინდა, რომ გავაკეთო. მეტსაც გეტყვით, ბავშვობიდან ვიდექი სცენაზე და ყველა ეტაპი მაქვს გავლილი დარბაზში მყოფი რიგითი მაყურებლიდან დირექტორის თანამდებობამდე. იმ ეტაპს მე დავარქმევდი არა ბრძოლას, არამედ საკუთარ შესაძლებლობებში გარკვევის და შემოქმედებითი რეალიზების წლებს. მერწმუნეთ, ის, რასაც მაშინ განსაკუთრებული წინააღმდეგობების ფონზე ვაკეთებდი, ძალიან დიდი ძალისხმევით და ბრძოლით ხდებოდა, თითქმის 15 წელზე მეტი შევალიე ბავშვთა შორის საუკეთესო სასცენო მონაცემების მქონე ბავშვებზე ზრუნვას. დღემდე ახსოვს თითოეულ მათგანს ის წლები, როგორც ულამაზესი ბავშვობა. უბედნიერესი ვარ დღეს, როცა ჩემი გაზრდილების წარმატებულ მომავალს ვუყურებ, ყველა ბავშვი შეიძლება სცენაზე არ დარჩეს, თუმცა, ბავშვის სრულფასოვან განვითარებას, შინაგანი მონაცემების რეალიზებას, მისი გახსნილობა და საზოგადოებასთან კომუნიკაცია ნამდვილად ბავშვის ადრეული ასაკის სასცენო ხელოვნებასთან თანაზიარებით ხდება. ყველა ბავშვს უნდა მიეცეს ადრეული ასაკიდანვე თავის წარმოჩენის შანსი, რაც ხშირ შემთხვევაში წარმატებული მომავლის გარანტიაც ხდება ხოლმე.

-„არლეკინოზე" რას იტყოდით, როდის და როგორ გაჩნდა ამ სტუდიის ჩამოყალიბების იდეა და რამდენი წელია, რაც არსებობს „არლეკინო", რომელიც, როგორც მახსოვს, ცარიელი ხელებით დაიწყეთ?

-„არლეკინო" ეს ჩემი სტუდიაა, ჩემი მესამე შვილია, ამ სტუდიაში ჩემი შრომა ასეულობით უნიჭიერესი ბავშვის ცხოვრებას ვარდისფერ ხაზად გაჰყვა. სტუდიის შექმნის იდეა 17 წლის წინ ჩემს შემოქმდებით საღამოზე გაჩნდა, როდესაც მე თბილისში მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლში ვმუშაობდი. ეს საღამო ყველა ასაკის ადამიანისთვის აღმოჩნდა საოცრად დიდი დადებითი ემოცია. შევძელით განსხვავებული სიტყვა გვეთქვა ბავშვთა კულტურულ ცხოვრებაში, რასაც მოჰყვა სტუდია „არლეკინოს" შექმნა. „არლეკინომ" უამრავი ულამაზესი პროექტი განახორციელა. დედოფლისწყაროს პატარა და არამარტო პატარა მაყურებლის გულის გასახარად და მათი სულიერი მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად. წლების განმავლობაში ეს სტუდია დამოუკიდებლად არსებობდა, როგორც არასამთავრობო ორგანიზაცია. მაშინ კეთილი ადამიანების თანადგომით, გულისხმიერებით და დიდი ენთუზიაზმით ვაკეთებდით ყველაფერს. სცენარი, დიზაინი, ფორმები, რეჟისურა, ტექსტები, ქორეოგრაფია, სამხატვრო გაფორმება, ყველაფრის ორგანიზებას მე ვაკეთებდი. მე და სამი ადამიანი, მათ შორის, არ შემიძლია არ აღვნიშნო მაკა ბენაშვილის დიდი წვლილი ამ სტუდიაში გაწეული შრომისთვის. მაკას გარდა კიდევ არსებობდნენ ადამიანები, რომლებიც სწორად ხედავდნენ ჩემი ნაკეთები საქმის მნიშვნელობას, არასოდეს მეუბნებოდნენ უარს თანადგომაზე, მათ შორის ამჟამინდელი ჩემი თანამშრომლებიც. დღეს „არლეკინო" არის კულტურის ცენტრთან არსებული და წარმატებით განაგრძობს საქმიანობას. მას ხელმძღვანელობს ნინო ლოლაშვილი.დაგეგმილი გვაქვს დიდი საიუბილეო საღამოს გაკეთება, სადაც მოწვეული იქნება ამ წლების განმავლობაში სტუდიაში გაზრდილი ყველა წევრი და გვინდა მათთან ერთად კიდევ ერთი ლამაზი დღე ვაჩუქოთ ერთმანეთს და ქალაქის ისტორიას.

-რა სახის წრეებია დღეს თქვენს კულტურის ცენტრში და თუ იგეგმება, რომ გაიხსნას ბალეტის წრე ან საესტრადო მუსიკალური წრეები. მართალია, გაქვთ თეატრალურ-ახალგაზრდული დასი, მაგრამ თეატრს მონატრებული ჩვენი საზოგადოება თუ იხილავს რომელიმე მოწვეულ თეატრს, მაგალითად, თელავის თეატრის მოწვევა მაინც თუ შეიძლება და რომელიმე სპექტაკლის ნახვა ჩვენი მაყურებლისთვის. თუ იგეგმება ამის მსგავსი რამ და საერთოდ, უახლოეს სამომავლო გეგმებზე მინდა გვიამბოთ.

-დედოფლისწყაროს კულტურისა და ძეგლთა დაცვის ცენტრში ამჟამად ფუნქციონირებს: ახალგაზრდული თეატრი „ბერიკონი"-მოგეხსენებათ ამ თეატრის რეჟისორი და ხელმძღვანელი გახლავთ კულტურის სფეროს ღვაწლმოსილი მუშაკი ქალბატონი ცარო მარტიაშვილი. ასევე მუშაობს ზემოთხსენებული ბავშვთა სტუდია „არლეკინო"-ხელმძღვანელი ნინო ლოლაშვილი, ვოკალურ-ინსტრუმენტალური ანსამბლი „აისელები"-ხელმძღვანელი ბესიკ ჩიტორელიძე (მამა პანტელეიმონი), გოგონათა ანსამბლი „მანდილი"-ხელმძღვანელი დალი ელისაშვილი, ვაჟთა ფოლკლორული ანსამბლი „ხორნაბუჯი"-ლოტბარი გიორგი ცერცვაძე, ქართული ხალხური სიმღერის შემსწავლელი წრე დალი ელისაშვილის ხელმძღვანელობით, ზემო ქედის კულტურის სახლი-ხალხური სიმღერის კვარტეტი,ხელმძღვანელი მაყვალა წიკლაური, ზემო მაჩხაანის ფოლკლორული ჯგუფი ლევან ხუნაშვილის ხელმძღვანელობით, სამრეკლოს ვოკალური ჯგუფი გაიოზ ხუციშვილის ხელმძღვანელობით, არბოშიკის ხალხური სიმღერების შემსწავლელი წრე ნინო ბიძინაშვილის ხელმძღვანელობით, ოზაანის ხალხური სიმღერისა და საკრავების შემსწავლელი წრე მანანა ჯაფოშვილის ხელმძღვანელობით, სამთაწყაროს სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი და ასევე მედოლე ბიჭუნათა ანსამბლი ნოდარ შაინიძის ხელმძღვანელობით. სიმღერისა და ცეკვის ჯგუფი დიანა ფუტკარაძის ხელმძღვანელობით. იგეგმება საბავშვო თეატრის შექმნა დაწყებითი კლასის მოსწავლეებისთვის, სამეჯლისო და საბალეტო წრეები, ზემო ქედში ხალხურ საკრავთა ორკესტრის აღდგენა(მაყვალა წიკლაური), სოფელ არხილოსკალოსა და გამარჯვებაში ხალხური სიმღერების შემსწავლელი წრეების შექმნა. წლის განმავლობაში რამდენჯერმე გვყვავდა სტუმრად სხვადასხვა საესტრადო მომღერლები, მომავლისთვისაც იგეგმება კიდევ მრავალი სტუმრის მოწვევა, მათ შორის არ გამოვრიცხავ ჩავსვათ რომელიმე თეატრის დასის მოწვევა და მათი სპექტაკლების ჩვენს სცენაზე ხილვა.

- თქვენ კულტურის დარგში მუშაობისთვის ხართ დაბადებული, შნიცლერი ამბობდა,- „ყოველგვარი კულტურის საბოლოო მიზანი არის ის, რომ ზედმეტ ბარგად აქციოს ის, რასაც ჩვენ „პოლიტიკას" ვუწოდებთ,ხოლო სამაგიეროდ მეცნიერებასა და ხელოვნებას აზიაროს მთელი კაცობრიობა",- თქვენ რას იტყოდით, რა არის კულტურა?!

-კულტურა არის სულის სამკაული, რაც ყველა ადამიანს თავისი შინაგანი მდგომარეობიდან გამომდინარე დოზირებულად აქვს. რაც შეეხება კულტურას და პოლიტიკას, მე მიმაჩნია, რომ აბსოლიტურად გამიჯნული უნდა იყოს ყველა დროსა და ყველა სიტუაციაში. არ შეიძლება ადამიანი

(გაგრძელება გვ.7)

მე დღესასწაულისთვის გაჩენილი ქალი ვარ!

(მეექვსე გვერდიდან)

ერთი მთავრობის დროს ემსახურებოდეს კულტურას და მეორე მთავრობის დროს იყოს პოლიციელი ან ექიმი, და საერთოდ, პოლიტიკას, ვთვლი, რომ კატეგორიულად ემიჯნება რელიგია, კულტურა და მედიცინა. კულტურა ჩემთვის არის ადამიანის სულიერი სრულყოფილებისთვის აუცილებლობა.

- საზოგადოებისთვის ცნობილია, რომ ხელსაქმე, კერვა და ქსოვა თქვენი გატაცებაა, ხელიც ძალიან კარგად მოგდევთ და ფანტაზიაც, რა როლს ასრულებს ის თქვენს ცხოვრებაში?

-ნამდვილად ასეა. ხელსაქმე, კერვა, ქსოვა და ა.შ ყველაფერი, რაც ადამიანის ხელს შეუძლია გააკეთოს, ჩემთვის შინაგანის გამოხატვის საუკეთესო საშუალებაა. ამ ყველაფრის კეთებით მაქსიმალურად ზედაპირზე გამომაქვს ჩემი სულის მდგომარეობა.

-შვილებზე მინდა თქვათ ორიოდ სიტყვა. რა მიზნები გაქვთ მათდამი?

- შვილები... (ჩაფიქრდა) თეკლა ჩემი ცხოვრების ულამაზესი ფეიერვერკია. სწავლობს საუკეთესოდ, არაჩვეულებრივად იხდენს და უყვარს სცენა. არის კომუნიკაბელური, ინტერესიანი და მიზანდასახული ბავშვი. ყველგან და ყველაფერში პირველობის ამბიცია აქვს. ეჭვიანობს ლევანზე, მის წარმატებებზე და აცხადებს, ნეტავ მე გავჩენილიყავი პირველი, მე ვიქნებოდი ვარსკვლავი და ლევანი ყოფილიყო ჩემი ძმაო. საშინელი პროტესტი აქვს ლევანის დად და ჩემს შვილად მოხსენიების გამო, გვპირდება, რომ ისეთი შემდგარი ქალი იქნება, რომ საზოგადოება მის დედად, ძმად და მეგობრად გაგვიცნობს. თუმცა, ვცდილობთ საზღვრებში მოვაქციოთ მისი ამბიციები. ამაში ძალიან მეხმარება ეპარქიის დედაოებთან მისი მეგობრობა. ასწავლიან მორჩილებას, ხელსაქმეს და მეხმარებიან მაქსიმალურად მის სწორად აღზრდაში. დარწმუნებული ვარ, ის ახლაც ახერხებს და მომავალშიც წარმატების მისაღწევად ზედმიწევნით სწორად წარმართავს თავის ცხოვრებას. ზუსტად ვიცი ამ ცხოვრებისგან მაქსიმუმს მიიღებს ცხოვრებაში და თავის დანაპირებს აგვისრულებს. მინდა, ღვთის წყალობა ვუსურვო ცხოვრებაში. გონიერება მისცეს უფალმა. ნამდვილად გამიხარდება, თუ ჩემთვისა და ქვეყნისთვისაც საამაყო და სასახელო ადამიანი გაიზრდება, ისე, როგორც ლევანი.

-თქვენს შვილს, ლევან ჯიბლაშვილს ყველა ძალიან კარგად იცნობს თავისი წარმატებებით და საზოგადოებაში დამკვიდრებული ავტორიტეტით, თქვენ როგორც დედას, რა შეგიძლიათ გვითხრათ მასზე?

-ლევანის დიდი წარმატებები მაშინ დაიწყო, როცა მე ცხოვრებაში ყველაზე დიდი კრიზისი მქონდა, უფალმა მისი სახით მომცა საუკეთესო შვილი, ერთგული მეგობარი, ადამიანი, რომელსაც ვეყრდნობი და ყველა ჩემი მომავლის იმედი და გამართლება მასთან ასოცირდება. მან ძალიან პატარა ასაკიდან, ღვთის ნებითა და წყალობით, ძალიან ბევრის მიღწევა შეძლო. მე, როგორც დედა, მადლობელი ვარ უფლის, რომ ამქვეყნად ყველაზე დიდ ჯილდოდ ლევანი ინება ჩემთვის.

-მის პირადში თუ ერევით?

- შევთხოვ უფალს, რომ მისთვის ისეთი მეორე ნახევარი ინებოს, რომელსაც ეყვარება ჩემი შვილი, იქნება კარგად აღზდილი, გონიერი და განათლებული, ღვთის მოშიში და მოსიყვარულე. დანარჩენს ყველაფერს ჩემი შვილი თვითონ გადაწყვეტს, მე მის გადაწყვეტილებას აბსოლუტურად დავეთანხმები და პატივს ვცემ.

-ისე საუბრობთ, ჩანს არსებობს უკვე მის გვერდით მეგობარი გოგონა, რომლის მიმართ სერიოზული ფიქრები ამოძრავებს თქვენს შვილს!

-თუ დედის გულს და ჩემს ინტუიციას დავუჯერებთ, ვფიქრობ, რომ მის გვერდით არსებობს ასეთი გოგონა.

-თქვენს სიყვარულზე ლეგენდები დადის, ვიცი, რომ იყავით არანორმალური შეყვარებული ქალი, იქნებ გაიხსენოთ ერთი ნიუანსი მაინც, რაც კარგად გახსენდებათ თქვენი შვილების მამაზე?

-მე ღმერთმა გამიმართლა და ღირსი გამხადა, რომ ამ ულამაზეს გრძნობას ჩემს ცხოვრებაში მნიშვნელოვანი ადგილი ჰქონდა. გეთანხმებით, ჩემი სიყვარული ლეგენდად ქცეული ისტორია იყო და ის ლეგენდა ჩემს ლამაზ შვილებში გაგრძელდა. ჩემი შვილები არიან ჩემი ყველაზე დიდი გამარჯვება, მადლობელი ვარ უფლის, ამ ლამაზი გრძნობის ასეთი გამართლება რომ ინება ჩემთვის.

- ერთი თვისება მითხარით, რომელიც მოგწონთ თქვენში და რომელიც არ მოგწონთ!

-ყველაზე ძალიან მომწონს ის, რომ უზომოდ დიდი მიტევების უნარი მაქვს, იმდენად დიდი, რომ წყენის შემთხვევაშიც კი, რა მაწყენინა ადამიანმა, აღარ მახსოვს, თუმცა, უფალი ასეთ შემთხვევაში მათ თვითონ მიაგებს საზღაურს. რაც არ მომწონს ჩემში, დინჯი, ქიზიყელი ქალისთვის ჩემი აქტიურობიდან გამომდინარე, უჩვეულოდ ხმამაღალი საუბარი ვიცი, ზოგს შეუძლია ეს არასასიამოვნო ტონად მოეჩვენოს, თუმცა დადებითიც და უარყოფითიც ნებისმიერ მოკვდავს აქვს. მეც ძალიან ბევრი მაქვს, თუმცა, თქვენ მხოლოდ ერთი თვისება გაინტერესებდათ.

-არის რაღაც, რაც მიუწვდომელი დარჩა თქვენს ცხოვრებაში?

-ალბათ არ არსებობს ადამიანი, რომელიც ამ შეკითხვაზე უარყოფით პასუხს გაგცემთ. მით უმეტეს, მთელი ცხოვრება ძიებაში ვარ და თითქმის ყველგან და ყოველთვის მიუწვდომლისკენ მივილტვი, რადგან მიმაჩნია, რომ ყველაფრის მიღწევა შეიძლება, რაც რეალურია. თუ ცხოვრებას სწორად დაგეგმავ, ღვთის სათნოდ იცხოვრებ და სხვისი კეთილდღეობა კი არ გაგაბოროტებს, არამედ საკუთარ კეთილდღეობაზე იზრუნებ, მაშინ დასახული მიზნები აუცილებლად ხდება. დამიჯერეთ, მე ყველგან და ყოველთვის დავეძებ სიკეთეს, სითბოს და სიყვარულს. მინდა, რომ ადამიანები იყვნენ ძალიან ბედნიერები და პოზიტიურად შეხედონ სამყაროს.

-ამბობთ, რომ ყველგან სითბოს და სიყვარულს დაეძებთ, ამიტომ მაინც მინდა გკითხოთ, პროვინციალიზმი განაპირობებს, რომ ქალები, რომლებიც თქვენსავით სიყვარულსა და დღესასწაულისთვის არიან შექმნილნი, მარტო რჩებიან. დარწმუნებული ვარ, თქვენს ცხოვრებაში უამრავი თაყვანისმცემელი არსებობს, მაგრამ დღეს თქვენ მარტო ხართ. იმასაც ამბობენ, ქალის ბედნიერება მის თვალებში უნდა დაინახოო, იმიტომ, რომ მისი თვალები კარია მისი გულისკენ, რა ხდება ამჯერად თქვენს პირად ცხოვრებაში, ამაზე მინდა მიპასუხოთ!

-მარტოობა მაშინ აღიქმება მარტოობად, როცა ის სულის მდგომარეობაა, ისეთი ქალის გვერდით ცხოვრება, რომელიც შემდგარია, წარმატებულია და რეალიზებული, არცთუ ისე იოლია, თვითონ მამაკაცი უნდა იყოს მაქსიმუმს მიღწეული, რომ ასეთი ქალის გვერდით იგრძნოს კომფორტი. უღირს თანაცხოვრებას, მიმაჩნია, რომ ღირსეული მარტოობა ჯობია. ვერავის დასანახად ვერ ვიქნები ბედნიერი, თუ ეს ფარსი იქნება. სიყალბე ყველაზე დიდ სიბნელედ მიმაჩნია. ყველაფერი მომცა უფალმა, რაც ერთი ქალისთვის საჭიროა, გარეგნობა, ხასიათი, ნიჭი, გვერდით მყოფი საუკეთესო ადამიანები და ა.შ. და არა მგონია ჩემი წილი კაცის ჩუქება დავიწყებოდა. თუ ის სადმეა, აუცილებლად მიპოვის და თუ არ არის, ალბათ უფლის ნებაა, თუმცა, ვთვლი, რომ ბედბიერება მამაკაცის გვერდში ყოფნა არ არის, ღმერთმა ჩემს ცხოვრებაში უამრავი დღესასწაული ჩადო და ბედნიერებაც იმდენია, რამდენსაც შენ თვითონ იპოვი.

- თქვენზე ამბობენ, ყველგან და ყოველთვის შეუძლია მოაწყოს დღესასწაული და ამ დღესასწაულში იცხოვროსო. ამბობენ, თეკლას გაჩენამდე საკუთარი პალატა ისე ლამაზად მორთოო, რომ ზღაპარს გავდა იქაურობაო.

- (იცინის) მე დღესასწაულისთვის გაჩენილი ქალი ვარ, ვცხოვრობ საკუთარი თავისადმი ერთი უპირობო მოთხოვნით, ყველგან და ყველაფერში ვეძებო პოზიტივი ჩემს გარშემო, შევქმნა დღესასწაული, რომლის მთავარი გმირიც მე ვიქნები. დამერწმუნეთ, რომ უმეტეს შემთხვევაში ეს საუკეთესოდ გამომდის. ვუყურო ცხოვრებას ნათელი ფერებით,- გაცილებით უკეთესია.

-ალბათ ბევრჯერ გტკენიათ გული.

- ტ კ ი ვ ი ლ ი ს გარეშე არ არსებობს, ცხოვრებას ფასი არ ექნებოდა, თუმცა, ვცდილობ ყველა ტკივილი ჩემი ახალი სიხარულის საძებარ მიზეზად გადავაქციო.

-თქვენი აზრით რას ასწავლის და რას სძენს სიყვარული ადამიანებს?

-სიყვარული ადამიანებს ადამიანობას ასწავლის, რაც ყველაზე ძნელად მისაღწევი გახდა დღევანდელ ცხოვრებაში.

- რა არის თქვენი ყვალაზე დიდი საფიქრალი?

- საფიქრალი ჩემი ქვეყანა და შვილებია. მინდა, რომ ყველაზე ძლიერ, ყველაზე ლამაზ და ღვთისმშობლის წილხვდომილ ქვეყანას რომ შეეფერება, ისეთ ქვეყანაში ვცხოვრობდეთ და ჩემი შვილები ამ ქვეყანაში საკადრის ადგილს იკავებდნენ.

- თქვენი რწმენისადმი დამოკიდებულება!

- რწმენა, რწმენა ჩემი ცხოვრების არსია და აზრია და არა მარტო ჩემი, ყველა ადამიანის. ჩემი ცხოვრება, თავიდან ბოლომდე, ღვთის ნებით და წყალობითაა, მე ერთი პატარა ადამიანი ვარ, რომელიც ჩემზე ღვთისგან ნაბოძებ ყველაფერში ვთანამონაწილეობ. მადლობელი ვარ უფლის ყველაფრისთვის, რაც მომცა და მაძლევს. ვცდილობ, ჩემი შესაძლებლობების ფარგლებში, ჩემი საქმით და ცხოვრებით მადლიერების განცდით ვემსახურო უფალს.

- სულ ფორმაში ხართ, სულ ლამაზად გამოიყურებით, ამასთან, რამდენადაც ვიცი, სულ თავად იკერავთ ყოველივეს. თქვენი ყოველდღიური დაძაბული და რთული რეჟიმიდან გამომდინარე, როგორ ახერხებთ ამას?

- ფორმაში ყოფნა ჩემი სულიერი მოთხოვნილებაა, თანაც წლების მანძილზე ყველა მიეჩვია, რომ მე უნდა ვიყო ფორმაში, ვიყო ბედნიერი და გავცემდე დადებით ენერგიას, ამიტომ გარშემომყოფნი არცერთის უკმარისობას აღარ ეგუებიან და მეც, შეძლებისდაგვარად, ვზრუნავ საკუთარ თავზე. ახალგაზრდობის შენარჩუნების განსაკუთრებული საიდუმლო მინდა გაგანდოთ, არასოდეს ვიტოვებ გულში ბოღმას და გულში ჯავრს არ ვიდებ.. სიყვარული და მიტევება ყველასა და ყველაფრის მიმართ განაპირობებს ადამიანის ახალგაზრდობას.

-არსებობს ასეთი გამონათქვამი - „თუ მოექეცი ქალს, როგორც დედოფალს, ის მოგექცევა როგორც მეფეს, მაგრამ, თუ მას გამოიყენებ, როგორც სათამაშოს, გაჩვენებს როგორ უნდა ითამაშო!" -ეთანხმებით თუ არა ამ გამონათქვამს?

-აბსოლუტურად ვეთანხმები.

-ჩვენს ინტერვიუს მინდა ასეთი დასასრული ჰქონდეს, რა იქნება ხვალ?

- ოოოხ, ხვალ ყველაფერი ახლიდან იწყება სულშიც, სიყვარულშიც, ოჯახშიც, პირადშიც, სამსახურსა და საკეთებელ საქმეშიც.

მინდა აღვნიშნო, რომ ქალბატონ ნონასთან სტუმრობა და საუბარი უდიდესი კომფორტია. მას აქვს ის შარმი, რომ გამორჩეული რესპოდენტია თავისი პიროვნულად გახსნილი, ლაღი და თამამი პასუხებით, რასაც ჟურნალისტები ყოველთვის ვაფასებთ. გამართლებული და წარმატებული ყოფილიყოს თქვენი ყოველი წამოწყებული საქმე, ქალბატონო ნონა, თქვენი შრომა წლების შემდეგ ბევრად უკეთეს რაკურსში გამოჩნდება და აუცილებლად დაფასდება.

ლალი მეხრიშვილი

დ ე დ ო ფ ლ ი ს წ ყ ა რ ო ს მწიგნობართა ასოციაცია იუწყება ამ ასოციაციის წევრის, ცნობილი მხატვრის

ქეთი მხეიძის

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებს მის ოჯახს.

შვილი ნანა; შვილიშვილები: ვიტალი და თემურ ყაზარაშვილები, ლალი და გია ტოკლიკიშვილები, შვილთაშვილები: ლევანი და ზურიკო პოპიაშვილები, დათო, ზურა, საბა, მარიამი ყაზარაშვილები, ნინო და ნიკა ტოკლიკიშვილები, შვილთაშვილის შვილები ბარბარე და ემილია პოპიაშვილები. რძლები: ციცო, მარინა, თეა, მეგი იუწყებიან

მარიამ (მარუსა) ტოკლიკიშვილის

გარდაცვალებას.

დაკრძალვა 27 სექტემბერს, ქალაქ დედოფლისწყაროში.

ჯემალ კოტაშვილი, გია გონაშვილი, მზია ნატროშვილი, გურამ ნიკოაშვილი, დათო რობიტაშვილი, ნორა სულაშვილი, სოსო გოგაშვილი, მარიკა გონაშვილი, ომარ ალადაშვილი, ბერდო ნასრაშვილი, ნელი ღვინიაშვილი ოჯახებით თანაგრძნობას უცხადებენ ნანა ყაზარაშვილს დედის, ვიტალი და თემურ ყაზარაშვილებს ბებიის

მარუსა ტოკლიკიშვილის

გარდაცვალების გამო.

7 წლის ლუკა რამაზანაშვილს დახმარება ესაჭიროება

რედაქციაში მშობლები მოვიდნენ, ისინი ჩვენს დახმარებას 7 წლის ლუკა რამაზანაშვილის გამო ითხოვდნენ. -„ჩვენი შვილები ლუკა რამაზანაშვილის კლასელები არიან, როგორც დედებს, ძალიან გვიმძიმს ლუკას მდგომარეობის გათავისება, ოჯახი ძალიან მძიმე მდგომარეობაშია, სოციალურად დაუცველები არიან და გამგეობა მათ ბინის ქირას უხდის. ორი წელია, ბავშვი მძიმე ტკივილებით და კრუნჩხვებით იტანჯება, მხედველობის გაორება სჭირს და გონს კარგავს. მედიკოსები დადასტურებით ვერაფერს ასკვნიან, უფრო სწორად, ქართველ მედიკოსებს ზუსტი დიაგნოზის დადგენა უჭირთ და დედას ეუბნებიან, რომ საჭიროა ბავშვი თურქეთში წაიყვანონ გამოსაკვლევად. როგორც გაირკვა, თურქეთში წასვლას და მხოლოდ გამოკვლევებს 14 ათასი დოლარი ესაჭიროება, რისი საშუალებაც ოჯახს არ აქვს. იქნებ, თქვენი გაზეთი დაინტერესდეს ამ საკითხის გაშუქებით და სტატიის გამოქვეყნებით საზოგადოების იმ ნაწილის ყურადღება მიიქციოს, ვისაც დახმარება შეუძლია. გარდა ამისა, ჩვენ ვაპირებთ რაიონში ჩამოვიაროთ და ბავშვის სამკურნალო ხარჯებისთვის თანხა შევაგროვოთ.”

ჩვენ დავუკავშირდით ლუკა რამაზანაშვილის დედას- ქალბატონ ლიზი ჭრელაშვილს.

- ქალბატონო ლიზი, უფრო ზუსტად და კონკრეტულად თუ შეგიძლიათ, აღგვიწეროთ ლუკას მდგომარეობა.

- ორი წლის წინ ლუკას დაძინების დროს გონება გაეთიშა, დაეცა და პირიდან ქაფი გადმოუვიდა. თავდაპირველად იაშვილის კლინიკაში წავიყვანეთ, ჯერ ჭიას დააბრალეს, მაშინ სამი წლის იყო, შედეგი რომ ვერ მივიღეთ, სხვა კლინიკებში სიარული დავიწყეთ, ჯერ ეპილეფსიას ამბობდნენ, შემდეგ აღმოჩნდა, რომ თავის ტვინის გარსში დაზიანებული ადგილი

ყოფილა და ეს დაზიანებული ადგილი იწვევდა გულყრებს. თავზე ულტრასონოგრაფიის გადაღება გვესაჭიროებოდა და მაშინ განცხადების საფუძველზე გამგეობა დაგვეხმარა. დღესდღეობით ბავშვს ნევროლოგიის ინსტიტუტში ვმკურნალობთ, დანიშნულებას ვიღებთ, თუმცა, ზუსტი დიაგნოზი მაინც არ დასმულა და ექიმები მირჩევენ, წავიყვანო თურქეთში, სადაც გამოკვლევები ჩაუტარდება და დაადგენენ დიაგნოზს. თურქეთში ბავშვის გამოკვლევები კი, როგორც გვითხრეს, 14 000 ამერიკული დოლარი ჯდება. მე და ჩემს მეუღლეს არანაირი საშუალება არ გვაქვს ეს თანხა მოვიძიოთ. ბავშვი კი, დღითიდღე, უკან მიდის. აღარც საჭმელს ჭამს, აღარც ისეთი აქტიურია, როგორც ადრე. ამჯერად ნევროლოგიის ინსტიტუტის ექიმების დანიშნულებას იღებს, რომ ჩავალთ, როგორც ექიმმა აღნიშნა ჩემთან საუბარში, დოზა უნდა გაუზარდონ, არადა, ისეთი ძლიერი მედიკამენტებია, რომ თავზე უკვე თმის ცვენა დაეწყო. აღარ ვიცი, რა ვქნა.

- ჩვენს ხელმძღვანელობას თუ მიმართეთ?

- თითქმის ყოველ კვირა გამგეობას მივმართავ, მაგრამ მეუბნებიან, რომ 6 წლამდე ბავშვების სამედიცინო დახმარებას სახელმწიფო ასი პროცენტით აფინანსებს, ექვსი წლის ზევით კი, მხოლოდ იმ შემთხვევაში ვეხმარებით, თუ გადაუდებელი ოპერაცია ანდა ქიმიური პრეპერატებია საჭიროო. ძალიან ვნერვიულობ. შვილი ავად მყავს და უსახსრობის გამო ვერ ვშველი. მეორე შვილი პატარა მყავს, ისიც ხელში მიჭირავს და ექიმებთან ასე დავდივარ. იმხელა სანერვიულო მაქვს, უკვე ძალაც აღარ შემწევს ვიფქრო, რა გავაკეთო!

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით კომენტარი ვთხოვეთ მუნიციპალიტეტის გამგეობის ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა განყოფილების უფროსს ნონა ნატროშვილს. ნონა ნატროშვილი აცხადებს, რომ ამ ოჯახის სოციალური შეფასება 10000 ქულას აღემატება, რაც პირდაპირ მიუთითებს, რომ ოჯახი ყველაზე ღატაკთა კატეგორიას მიეკუთვნება, თუმცა, გამგეობის ჯანდაცვისა და სოციალური განყოფილების სამსახურს საზღვარგარეთ სამკურნალო ხარჯების დაფარვა კანონის არცერთ მუხლში არ უწერია. აქედან გამომდინარე, მიიჩნევს, რომ ლუკა რამაზანაშვილს თურქეთში მკურნალობისთვის ვერ დაეხმარებიან. ნატროშვილი მიიჩნევს, რომ ამ შემთხვევაში მშობლებმა სასწრაფოდ ჯანდაცვის სამინისტროს, ანდა კერძო ფონდებს უნდა მიმართონ.

-ჩვენ ისიც არ ვიცოდით, თუ ბავშვი ჯანმრთელობის მხრივ ასეთ მძიმე მდგომარეობაში იყო. ბავშვის დედამ ორივე შვილზე მიმართა გამგეობას, ორივეჯერ მან დახმარება მიიღო, კერძოდ, პატარა ანდრიაზე საცრემლე არხების გაწმენდა(300 ლარის დაფინანსებით) და ლუკაზე მაგნიტორეზონანსული კვლევა (230 ლარის დაფინანსებით) -აღნიშნა ნონა ნატროშვილმა და ისიც დასძინა, რომ ჯანდაცვისა და სოციალური სამსახურის დახმარებებში ცვლილება განხორციელდა, (აღნიშნული ინფორმაცია ჩვენი გაზეთის წინა ნომერში უკვე იყო) ვინაიდან დიდი იყო მოსახლეობის მოთხოვნა ოპერაციებზე დახმარების კუთხით, მათ შეიმუშავეს სოციალური დახმარების ახალი პროექტი, რომ 100 000 ქულის და მის ქვემოთ ოდენობის ქულის მფლობელ ოჯახებს ნებისმიერი ტიპის ოპერაცია უფინანსდება თანადაფინანსებით არაუმეტეს 500 ლარით. ეს შეეხება 6 წლამდე ასაკის ბავშვებსაც და ექვსი წლის ზემოთ ნებისმიერი ასაკის ადამიანს. ლუკას მსგავსი დაავადების შემთხვევაში კი, უფრო დიდი ფონდების მეშვეობით ხდება დახმარება.

- ლუკა რამაზანაშვილის სახელზე საქართველოს ბანკში გახსნილია ანგარიში GE27BG0000000568110700.

ლუკას დედა, ლუკას თანაკლასელების მშობლები, სკოლის პედაგოგები და “შირაქის” რედაქცია გთხოვთ ყველას,თითოეულ მოქალაქეს, დედებს, მამებს, ვისაც ამ ბავშვის გადარჩენის სურვილი გაქვთ, ნუ დაიზარებთ, თუნდაც ერთი ლარი გაიღოთ ამ ანგელოზივით ბავშვის დასახმარებლად. უფალი ამას აუცილებლად დაგიფასებთ და შეგეწევათ. ყველაზე დიდი მადლი ხომ ამქვეყნად გაჭირვებულის დახმარებაა.

ლალი მეხრიშვილი

ულოცავენ!

ვალერ და ზოია ლალაიანებს!

გილოცავთ შვილების არტურის და ანას ბედნიერებას. ახლადშეუღლებულებს ვუსურვებთ ხანგრძლივ და ლამაზ ცხოვრებას, გამრავლებას და დიდ სიყვარულს.

კახეთის ენერგოდისტრიბუციის დედოფლისწყაროს სერვის-ცენტრის თანამშრომლები.

ნინო და დათო იაკობიშვილებს!

გილოცავთ ქორწინების 50 წლისთავს და დაბადების დღეს პატივცემულო დავით. თქვენი ოჯახი სიყვარულზეა დაფუძნებული, ქორწინებიდან 50 წლისთავი, ეს ის ოქროს ხანაა, როდესაც ახალგაზრდობით მონაგრებულს ითვლით, თქვენი განვლილი ცხოვრების უკან მიხედვის არც შეგრცხვებათ და არც შეგეშინდებათ, ამიტომაც ამაყები ხართ. ამ ხნის მანძილზე აივსეთ შვილებით, შვილიშვილებით და შვილთაშვილებითაც და ტკბებით მათი სიყვარულით.

გილოცავთ კიდევ ერთი შვილიშვილის - თორნიკე ჩერქეზიშვილის ბედნიერებას, ყველას გისურვებთ დიდხანს სიცოცხლეს და ულევ სიხარულს. არ მოგკლებოდეთ უფლის წყალობა.

პატივისცემით თქვენი მეგობარი „შვიდეული“.

ირაკლი ქშუტაშვილს!

ჩვენო სიხარულო, გილოცავთ დაბადების დღეს. გისურვებთ ცხოვრებაში წინსვლას, წარმატებებს სწავლაში, ჯანმრთელობას და დიდხანს სიცოცხლეს. მშობლების, ბებიების და ყველა ახლობლის სასახელო ბიჭი გამოსულიყავი. უფლის წყალობა არ მოგკლებოდეს.

ბებიები: იზო და ზოია გონაშვილები.

ნინო და დათო იაკობიშვილებს!

გილოცავთ ქორწინებიდან 50 წლისთავს-ოქროს ქორწინების დღეს. ასევე დათოს ვულოცავთ დაბადების დღეს.

გისურვებთ ბედნიერებას, ჯანმრთელობას და ტკბილ სიბერეს თქვენ ს მრავალრიცხოვან ოჯახთან ერთად. ოქროსავით ბრწყინავდეს თქვენი ცხოვრება. კიდევ გილოცავთ შვილიშვილის ბედნიერებას.

ღმერთი იყოს თქვენი მფარველი.

სიყვარულით ზეინაბ და ომარ ნატროშვილების ოჯახი.

ყურადღება!

დედოფლისწყაროს მხარეთმცოდნეობის მუზეუმთან ფუნქციონირებს ხელგარჯილობის წრე, სადაც შეგიძლიათ შეისწავლოთ ჭრა-კერვა, ძერწვა, ქარგვა, გობელენი, თექის დამუშავება და სხვა ხელსაქმე. მეცადინეობები ჩატარდება ოთხშაბათს და შაბათს 1-დან 3 საათამდე.

მსურველთა ასაკი შეუზღუდავია, ხოლო სწავლება – უფასო.

მსურველები დაგვიკავშირდით: ☎ 574 09 59 75

მხარეთმცოდნეობის მუზეუმი.

იყიდება

იყიდება აგურის კაპიტალური ბინა ბელეტაჟზე, 6 ოთახი აბაზანით და სამზარეულოთი, საცხოვრებელი ფართი 136კვმ, გარაჟით, სარდაფით, სამეურნეო ნაგებობებით, ბაღით, ტალავერით. საერთო ფართობი 1269 კვმ-ია. ფასი შეთანხმებით.

მისამართი: 9 ძმის ქუჩა, III-ე შესახვევი N5. დარეკეთ:

☎ 577 22 32 19. იკითხეთ ლევან იაკობიშვილი.

ამინდი

	ორშაბათი 28.09		სამშაბათი 29.09		ოთხშაბათი 30.09		ხუთშაბათი 01.10		პარასკევი 02.10		შაბათი 03.10		კვირა 04.10	
	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე
	18 °	17 °	18 °	17 °	18 °	17 °	21 °	20 °	21 °	16 °	19 °	16 °	12 °	11 °

დედოფლისწყარო

გამომცემელი შპს „შირაქი“
დირექტორი ინგა შიოლაშვილი

რედაქტორი **ნაირა გორაშვილი-პოპიაშვილი**

წერილში მოყვანილ ფაქტებსა და ციფრებზე პასუხს აგებს ავტორი.

სარედაქციო კოლეგია: ლალი მეხრიშვილი, ილია მარტყოფლიშვილი (ჟურნალისტები) ; ელზა ხარაშვილი (სტილისტ-მენეჯერი); ნათელა პოსტაშვილი (ბუღალტერი) ; ნიაზი ჯანაშვილი (ოფის-მენეჯერი) ; მზია ქენქაძე (დისტრიბუტორი); ზურაბ ბუნაშვილი (კომპიუტერული უზრუნველყოფა).

გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა „შირაქის“ კომპიუტერულ ბაზაზე.
ყოველკვირეული გამოცემა იბეჭდება შ.პ.ს „სამშობლოს“ სტამბაში.

რედაქციის მისამართი: ქალაქი დედოფლისწყარო, ფიროსმანის №18,
ტელ. 0 356 22 55-49;
598 72-18-72 (დირექტორი)
591-97-73-26 (რედაქტორი)

რეგისტრირებულია
დედოფლისწყაროს რაიონის
სასამართლოს მიერ,
№6014-468.